

კაჟა ეტზისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკვარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 33

2020



მთ. რედაქტორი

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბოროვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-840-3 (33 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხოვის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანდა რა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიტუსების ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტაგებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნებებებთან აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნებერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწესა ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობელისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნებერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეშვილების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეში. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეთვე, პრეზიდისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისვლია... მათ იცინან იმ იწყება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ღაურიატი, ჯუმბერ ღეჟავას სახელობის მცნებრებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„გულცივად ვხეზვდი ყოველ ქმას, ყოველ კაბეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიერ

(გაგრძელება)

ისტორიულად აღმოცენებული ეროვნული კულტურა, ამქვეყნიური კეთილდღეობა სამშობლო ქვეყნისა, თავისებურება აზროვნებაში, რწმენაში და გარეგნულ არსებობაში – აი ის განძი, რომლის დასაცავად იბრძვის ცოტნე დადიანი. მისთვის ინდივიდუალური უკვდავება არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანის სულიერი შემოქმედების ნაყოფი რეალურ ძალად რჩება მომავალი თაობების ხსოვნაში, ხელს უწყობს მათ წინსვლას ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

სამშობლო მიწის უსაზღვრო სიყვარული, ეროვნული გზების, ქართველ ერის მთლიანობის იდეა და მშობელი ერის თვითშეგნების გამოღვიძებაა ვაჟა ფგერისელის ღირიკის უმთავრესი მიზანი.

ვაჟა ფგერისელს კარგად ესმის, რომ წარსულის შეუგნებლად შეუძლებელია შეგნება მომავლისა. რა



მართებულად მიუთითებდა გერონტი ქიქოძე, როცა წერდა: „უკვდავი ხელოვნება სპობს საზღვრებს საუკუნეთა შორის, გენიოსის მიერ შექმნილ ნაწარმოებს კაცობრიობა მუდმივ თანამგზავრად ხდის, საწუთროების მარადისობას უახლოებს და ამით აკმაყოფილებს ადამიანის მეორე ინსტიქტურ და ელემენტარულ მოთხოვნილებას – ლტოლვას უკვდავებისადმი“.

*

ცა იღრუბლება ჩემი წუხილით,
ვზივარ ცივ ქვაზე
და არავის არ ველოდები.
არც მეციხოვნეს, აღარც ლაშქარს
და არც ქვითხუროს.
მე ეხლა მხოლოდ
მომხდურისაგან
ნატყორცნ ღოდებით
ქართლის აგბედით წარსულს ვკითხულობ“.

ამ ლექსის წაკითხისას ძალუმად გვეზმანება გმირ წინაპართა სხივნათელი სახეები და თითქოს ვხედავთ საამაყო წინაპრების სულთა შექმნოელვარე აღს, ქვეყნის ნაღვერდალით აგიზგიზებულ გულებს. გვწამს და გეჯერა, რომ ადამიანის ღირსების წყაროა მამულიშვილობა.

ვაჟა ეგრისელის მიერ ცოტნესადმი მიძღვნილი ლექსების უმთავრესი პათოსი სწორედ იქითკენ არის



მიმართული, რომ ჩვენი ხალხისათვის ამ უმძიმეს ეპოქაში აღმოაჩინოს პოეტმა მისაბაძი მაგალითები, მარადისობით აღბეჭდილი ის თვისებები, რაც ამადლებს და აკეთილშობილებს ადამიანებს. ამით აიხსნება „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის განსაკუთრებული დაინტერესება ცოტნე დადიანის პიროვნებით.

ვაჟა ეგრისელის მიერ დახატულ ცოტნეს სახეში მძლავრად ღვივის ერთიანი საქართველოს სულისკვეთება, ჩვენი ისტორიის ღრმად შემეცნების აუცილებლობა და მისი ადგილი უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

ვაჟა ეგრისლის პოეზიისათვის დამახასიათებელია უდიდესი ვაჟკაცური სული და გამბობის აპოლოგია:

*

„გადაიქროლებს წარსულის ღანდი
და გამოაჩენს სისხლიან კლანჭებს,
წარბებს შეიკრავს და მოიწყენს
გრემი და ოშკი
და გააყოლებს ომის კვამლით დანისღულ თვალებს.

შენ კი მამულო! სიყვარულის ცათამწვდენ კოშკში
გყავარ და...

წამით არ მიშვებ გარეთ“.



ამ ლექსში მთელი სისრულით ცხადდება ვაჟა ვერისელის გასაოცარი ნიჭი და პოეტური პერცეპციის მასშტაბი, რომელსაც იგი მთელი სიძლიერით ავლენს სამშობლოს წარსულისა და გმირი წინაპრებისადმი მიძღვნილ ლირიკულ ქმნილებებში.

*

„ლეგენდებით და მზით
შემოსილი,
გაჰყვება მღვრიე ათასწლეულებს,
რწმენის ამარა, ვითარცა ქრისტე.
როს ძმათა თვისთა
სატანჯველად გვემა სხეული,
სული მაშინვე გაფრინდა ცისკენ“.

მწველი ცეცხლის მგზნებარება შემოგვნათებს ამ სტრიქონებში, რომელებიც ჩვენი დიდი წარსულის შავბნელი, მაგრამ დიდი სურათის გახსენებაა. პოეტმა კარგად იცის იმ შინაგანი, იდუმალი პათოსის ცეცხლოვანი მგზნებარების ძალა, რაც მას თავისთვის აქვს გადამაღული სულის ფსკერში. სამშობლოს სიყვარულის ცეცხლით დანთებულ კოცონზე იწვის ცოტნე ძმათა სიცოცხლისათვის თავგანწირული კოლხი ჭაბუკი, მუდამ წელში გამართული და ქედუხრელი მამულიშვილი, რომელიც გაუტყველი



ქართული სულის ხორცშესხმული სახეა და სიმბოლო.

პოეტი ვაჟა ეგრისელი იმ შემადრწუნებელ XIII საუკუნეში ამაღლებს თავის გმირს და ჩვენც გვჯერა და გვწამს, რომ ცოტნეს სიკვდილი ცხოვრების დასასრულის ღამაში წუთია. ღამაში ცხოვრება ერთი გაელვებაა, მაგრამ ვინც ამ ცხოვრებაში ღამაზად და შინაარსიანად კვდება, პირნათლად მიდის უფალთან. პოეტისათვის ისევ ცოცხლობს ცოტნე. ნათელია პოეტის რწმენა და ჩვენთვისაც გადამდებია ეს უქრობი შუქი გმირი ჭაბუკი სიცოცხლის უკვდავებისა. „ცოტნეს ‘ცა“ ლექსის უძლიერესი კომპონენტია. უნებურად გრიგოლ აბაშიძე გამახსენდა: „ჟამთააღმწერელმა ცოტნეს ცხოვრების ღამაზე, თან თავისი ცხოვრებისა და მოწოდების აზრის განხორციელებისათვის უმაღლესსა და უმშვენიერესს მწვერვალს მიაღწია“.

ვაჟა ეგრისელისათვის ცოტნეს სახე საქართველოს ტკივილიანი წარსულია, მოურჩენელი, განუკურნებელი, გაჯერებული სევდით, დარდით, მაგრამ სხივამდგარიც, ამაღლებული, ზეციური, ღვთიური ნათლით გაბრწყინებული.

პოეტი ეტრფვის საქართველოს, მზადაა ცოტნესაგით თაკარა მზეს მიუშვიროს გულ-მკერდი. პოეტის ტრფობის ობიექტი ერთია და განუმეორებელი, რომელიც არავის არ ჰგავს და არც დაემგვანება. პო-



ეტის სიყვარულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული:

*

„მკერდზე დავინთო შენი ზაფხული,
ვითა მზის გულზე
მდგარმა მოცხარმა.
რადგან შენი ვარ...
შენში ვცხოვრობ,
შენით ვიწყები.
მეც ცოტნესავით, სანამ ცოცხალ ვარ,
მამულო ჩემო!
შენს სიყვარულს მივეფიცხები“.

როცა ეს სტრიოქნები წავიკითხე, თვალწინ დამიდგა ილიას აჩრდილივით საქართველოს ხნის პოეტი. ამ ლექსში პოეტმა უხვად, მთელი სიმძაფრით გადმოაფრქვია სულის უჭკნობი სილამაზე, ტალანტი, რეალიზებული სულიერება. მხოლოდ სამშობლოს სიყვარულია სათავე და ბიძგი იმ მომაჯადოებელი მეტაფორებისა, რომლებშიც შედედებული სისხლივით იკვრება სინამდვილე. მის ფიქრებში მამულისათვის თავგანწირული გმირის უკვდავებაზე შეთავსებულია სევდისა და სიხარულის, ლელვისა და აღმაფრენის, სიმშვიდის წინააღმდეგობანი. პოეტის რწმენით მხოლოდ სიყვარულში, მოყვასისადმი უერ-



თგულებს თავგანწირვასა და თავგამოდებაშია სიცოცხლის უკვდავება. ცოტნე დადიანისეულ სიკეთეს აფრქვევს პოეტი ლექსში 'ფოთში':

„თვალი მოკკარი როდესაც
წმინდანის ტაძრის ბაღავარს,
ხსოვნამ უეცრად გაკვესა
წარსულში და მე ანისთან
მომესმა ოხვრა და კვნესა
და
ცოტნე ჯერ იქ არ ჩანდა,
იდგა წყვილიადი ღამისა,
მხოლოდ ისმოდა ფლოქვთა ხმა
დათრგუნვად კვლავ სატანისა.“

აქაა ღამის წყვილიადისა და ცოტნეს ცხენის ფლოქვების ხმის დაუსრულებელი ჭიდილის მძაფრი მოლოდინი. საბოლოო ჯამში ფლოქვთა ხმა მაინც ცოტნეს კონტექსტში მოიაზრება, რომლის გამოჩენით ითრგუნება სატანა. იმარჯვებს ნათელი. ვაჟა ეგრისელის პოეზია მრავალასოციაციურია. განსაკუთრებული სიფაქიზით, მძაფრი აღტკინებითა და გამირული სულისკვეთებით შემოდის პოეტის არსებაში ცოტნე. ვკითხულობთ პოეტის ლექსებს და თითქოს ცხადად ვგრძნობთ, თუ როგორ ედება ღამენათევად თბილი, ტკბილი ჟრუოლა პოეტს და ცოტნეც ბურანში, ზმანე-



ბაში ნახული არწივის ფრთებით მიისწრაფვის თვალ-
მიუწვდომელი სიმაღლისაკენ. სწორედ აქაა პოეტის
რწმენით სიცოცხლის მარადიული წყურვილი და სამ-
შობლოს სიყვარულის გადამრჩენი ძალა, ამ ლამაზ,
მიგნებულ და ტევად ფრაზაში „მხარზე მჯდარი ბე-
დისწერის ლეგა არწივი“ რომ ითავსებს, ნათლად გა-
მოსჭვივის სამშობლოსათვის თავშეწირული ჭაბუკის
უცილო ხვედრი, მარადიული უკვდავება:

*

„სურთ, რომ ღმერთებმა გაიტაცონ
ვით განიმედე,
პონტოს მწუხარე ზღვაში ნარწვევი,
რადგან ქართველთა ის არს იმედი,
რადგან ქცეულა საქართველო –
შურის მეწყერად.

ვჭკვრებ –

მხარზე მჯდარი ბედისწერის
ლეგა არწივი,
მარადისობის მაღალ ცისკენ
როგორ ეწევა“.

(„ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში,
სამეგრელოს მოედანზე).

ლექსი ეძღვნება მონუმენტური ხელოვნების დი-
ლოსტატებს – მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს, არქი-
ტექტორ ვახტანგ დავითაიას და ფაზისის მეცნიერე-



ბათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტს ნუგზარ ნადარაიას. რომლის ინიციატივითა და ძალისხმევით 750 წლის ლოდინის შემდეგ მოეწვინა სრულიად საქართველოს ეროვნული გმირის, ამჟამად უკვე წმინდანად შერაცხული ცოტნე დადიანის სახეობა.

ცოტნეს სახე ვაჟა ეგრისელის პოეზიაში განსაკუთრებული და ორიგინალური ფენომენია. პოეტს საქართველოს ისტორიული წარსულის სურათების უტყუარი შეგრძნება აქვს, ტრაგედია თუ ტკივილი, ნაღვლიანი ისტორია მამულისა ავსებს და სრულყოფს მის სიცოცხლეს, რომელსაც ღრმად სწამს, რომ მიზანი, მიზანსწრაფვა და გმირული სული ინტელექტით გაჯერებული ამართლებს მის არსებობას. პოეტი თავგანწირვით, უდრტვინველად ბრძოლის, მოქმედების, დიადი მიზნისათვის ბრძოლის წყურვილითა და მარადისობისაკენ სწრაფვის სურვილით მუხტავს თანამემამულეებს. ამ მხრივ უთუოდ ნიშანდობლივია ეს ლექსი.

ვაჟა ეგრისელის მიერ ცოტნესადმი მიძღვნილ ლექსებში განუწყვეტლივ გაისმის სამშობლო ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის სიყვარულზე ხმამაღალი ყევა და ყივილი. პოეტი ჩვენი ქვეყნის გულმართალი მესიტყვეა, სამშობლოს ბედნიერებისათვის თავგანწირული მებრძოლი, მისი ჭირისუფალი, რამეთუ:

*



„სამშობლოსათვის თავდადებულთა
სსონის დღეები
იმედს კვსავენ,
მათი გულისთქმა მესმის გმირული.
მეც კოლხი ვარ და
მეც ცოტნესავით,
ჩემი სამშობლოს სიყვარულში
ვარ ჩაკირული“.

პოეტს ღრმად სწამს, რომ ერი, რომელსაც ცოტ-
ნეს მსგავსი გმირები ჰყავს, არასოდეს გადაშენდება.
ჩვენი სინამდვილის რწმენით აღსავსე პოეტი
სხვათა გონებაშიც ცდილობს უტეხი ნების, სიმტკიცის
და სათნოების ჩანერგვას, ცოტნეს სულის ამზევებას:

*

„ვითარც ერთ დროს თათარმა და ოსმალომ,
შენმა „ღვიძლმა“ ქართველებმა
დაგჯეგეს
და გაგთელეს სიძულვილის ფლოქვებით.
ჩემო!

შენში,

ცოტნეს სული ბობოქრობს
და ვერასდროს ვეღარ დაგაჩოქებენ“.

(„სამეგრელოს მესამე დაღაშქვრა“)

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ სამშობლოს სიყვარულის თემა, რამდენადაც არ უნდა წერდეს მასზე პოეტი, არასოდეს არ დაკარგავს ორიგინალობას, რო-



ცა კვითხულობ ლექსს „როდესაც ქ. ფოთში (მაღთაყვაში) ვდებდით წმინდა ცოტნეს ტაძრის ბალავარს“, ვგრძნობთ შემოქმედის ფანტასტიკურ შესაძლებლობებს. თითოეული სტრიქონი დაყურსულია აზრით და თან ახლავს დიდი მოქალაქეობრივი შემართება:

*

„ღმერთს და განგებას ვთხოვდით შეწვენას –
ლოცვა-კურთხევით

ღამენათევი

მრევლი და ყველა უფლის მსახური.

უცებ იელვა...

და წმინდანის ტაძრის ბალავარს

თავზე დაადგა უფლის ნათელი,

ვითარცა მადლი –

ცისარტყელად გამოსახული“.

ცოტნეს ბედაურის ნაღით ჩამოშლილი კლდის ნარღვევით მოედინება პოეზიის ქარგაზე აჭრილი სტრიქონები...

ამ დიდ ეროვნულ საზრუნავშიც წარმმართველია ბატონ ნუგზარ ნადარაიას ინიციატივა, შემართება და პრინციპი. გაბედული და შთამბეჭდავია ეს სტრიქონები. ფინალში გამჟღავნებული ავტორების მრწამსი გაცილებით უფრო ამამაღლებელია და სულის განმასპეტაკებელი, რამეთუ ლექსში დანთებულ,



დაგზნებული სახმელი წვავს, მაგრამ არ ნაცრავს არც ფერფლავს ჩვენი გრძნობას. აქაა ამადლებული განწყობილებები, ჩვენი სახელოვანი წარსული და ისტორია. ტრადიცია, დიდ წინაპართა დადადისი და საარაკო გმირობა... უნებურად გეჩვენება, რომ ყოველივე ზეციურ სარკეში ჩახედვასა და განწმენდას ჰგავს, რომ ცისარტყელად გამოსახული უფლის ნათელ მთელი რუდუნებით გვისმობს ლამაზი ჰოროზონტებისაკენ...

ვაჟა ეგრისელის შემოქმედების ტილოზე ჰარმონიულად ღრმა და ვრცელ სამყაროს ვხედავთ. მისი პოეზია მისივე გულის ამოძახილია. სიტყვიერი ფერწერა მისი პოეზიის უდიდესი ღირსება.

*

„ქარი თიბავს ელვის ცვლით
და დგამს ზვინად
ღრუბლის თივას.

მე,

ოცნების –
ცა მოვლილი,
ღამეც ფიქრის ტოტზე ვზივარ,
ცაღდაკარგულ ოლოლივით“.

*

„ხვამს და...
მერე შურით ამღვრევს,



ვინც ბოროტად გუღგრილია, –
ღმერთმა ყველა შეიწყალოს.
უფლის ხელით მორთმეული
 წყურგილეა,
ღვთის მადლია ჩემი წყარო“.

პატრიოტის გულწრფელი აღსარებაა:

*

„ჩემი სამშობლო –
 რა მთა,
 რა ველი,
ზღვა – მოხასხასე ნისლის კრაველით
ცაზე ვარსკვლავნი – მესაკრავენი,
თითქოს ‘ბოლეროს“ უკრავს
 რავალი,
ხმა ისმის ტკბილი და საყვარელი“.

პოეზია ღმერთის სასწაულებრივი მადლია, უზე-
ნაესი ჭეშმარიტებაა და აღმაფრენა. პოეტს სჯერა
მარადიულობისა:

*

„პირადესილი ხმლით და ქართულით,
 ათასღწულებს –
 მე ვეომე,
საუკუნეები



მე შეეძარი.
წინ ვერვინ აღუდგება –
ჩემი ლექსების ლეგიონებს,
ვით სპას ცეზარის“.

პოეტს ნათელი უხმობს, ეძახის პოეზია და
ღვთის საუფლოში მოციმციმე მნათი:

*

„ღვთის საუფლოში,
უფრო შორს,
სადღაც,
მირიადი ციმციმებს მნათი,
სადაც ვერ აღწევს მოკვდავთა ფიქრი.
მე ვხედავ ცხადად,
მე ვისმენ ნათლად,
ვიდაცა მიხმობს და მელოდება
პლანეტებს იქით“.

ვაჟა ეგრისელი გვარწმუნებს სამშობლოს სიყვარულის მარადიულობაში, ჩვენც გვწვდება პოეტის განცდა. პოეტის რწმენა, რომ მამულისათვის თავგანწირულთა უცილო ხვედრი უკვდავებაა. პოეტის თითოეული ბჭკარი თანამემამულეებს უძლიერესებს გაუმეორებელი სიყვარულის გრძნობას:

*



„მე ჩემი ღმერთი მყავს საკუთარი,
ღმერთი ნამდვილი და სრულყოფილი
და არვის ძალუძს
მასთან გამყაროს.
საქართველოა –
მისი პროფილი,
მისი ანფასი –
მთელი სამყარო“.

პოეტი ეროვნული სულისა და სხეულის რომანტიკული მიჯნურია, მისთვის ნიადაგ ტანჯვისათვის მზადმყოფი, დამაშვრალი და მესოტბე. მკითხველი აშკარად გრძნობს ლირიკული გმირის გულის ძვერას, რომელიც გრძნობით დიდია და ჭკუით მართალი. გვხიბლავს მისი დიდი სულიერი სიმაღლე და ცეცხლოვანი გულის მგზნებარება:

*

„მამულო ჩემო!
მსაჯულებმა –
ჩემმა დღეებმა,
ძველმა დღეებმა, თანაც ახლებმა,
დახვრეტა
და არც გადასახლება,
შენი მუდმივი სიყვარული
მე მომისაჯეს“.



ამ ლექსის მედიტაციურმა მდინარებამ ერთი წრე შემოხაზა, მრავალ წახნაგს ერთ ფოკუსში მოუყარა თავი და ფინალურ აკორდად გაამჟღავნა აზრი – მარადიული ცვალებადობის მიუხედავად არსებობს დროუპმივით მარად მიმყოლი წარმავადობის გრძნობას განრიდებული ძალა, – სამშობლოს სიყვარული...

ღირიკული გმირის მხნე განწყობილება მომავლის მტკიცე რწმენა დახატულია ლექსში „ქართული ხმალი“.

*

„მიკაფ-მოკაფა უღრან გზაზე
მტერი ურიცხვი,
სად არ ელაგდა ხმალი ქართული,
მაგრამ მაინც ვერ დააჩლუნგა
დიდმა ომებმა
და ისევ ბრწყინავს
სხივშემართული –
ოცდამეერთე საუკუნის მისადგომებთან“.

(ვაი, რომ მთლად ისე არ არის, როგორც პოეტს სურს!)

ავტორთან ერთად მადლიერი მკითხველიც ნეტარებს, რადგანაც აქ მრავლისმთქმელადაა დახატული ხალხის ღომეულობა და ქედუხრელობა. გუდლომი ღირიკული გმირი ღვთიურ ხოტბას ასხამს საქართველოს, ქართველ ხალხს და სავსებით დამსახურებულად ქადაგებს უკუნით უკუნისამდე მის უკვდავებას:



*

„ველარ აღგავეს მიწის პირიდან,
ცეცხლში ისროდნენ...
ბნელში ნისლავენ.
ზაფხულ და ზამთარ
დღისით და ღამით,
მტერს და მოშურნეს შეაყარა თვალში
ნაცარი...
პატარაო! იყოს, რაც არის,
აწ და მარადის,
უკუნით უკუნისამდე...
ამინ!“

ასეთი ნაწარმოებით, ხალხისათვის თავდადების
ბრძოლის სურვილით განაწყოებს პოეტი თანამემამუ-
ლეებს და ნათელი მომავლის იმედს განუმტკიცებს.

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

კაგრძელეზა შემდეგ ტომში



* * *

ლოცვით და კურთხევით
დღე მოვა მზის მთესი,
სიმშვიდის მპოვნელთა.
„ნათელი ქრისტესი
განგვანათლებს
ყოველთა“.

1963

**ხილვა: კოლუმბი – 1492 წლის
აბვისტო**

ქარმა მოულოდნელად
ზღვები არივ-დარია,
თითქოს დელგმა უინია.

და ვჭვრეტ „სანტა-მარიას“
გემბანზე მდგარ კოლუმბის,*
ატლანტისკენ ვით უსღვის
„პიტინსა“ და „ნინიას“.

2001

* P.S. აღმირალ ქრისტეფორე კოლუმბის 90 კაციან ეკი-
პაჟში შედიოდა სამი ბასკონელი კოლხი (ქართველი)
მეზღვაური სმები მოლაშხიები და ლიპასკუა.



* * *

პელაზგებად მონათლულთ,
მოსულთ კოლხურ თემიდან,
კვლავ კოლხური ქარი სდევთ
ჰერას,¹
ვესტას²,
ემიდას³,
ნერეიდებს⁴, ქარიტებს⁵.

1967

1,2,3,4,5 – ღმერთქალები და ფერიები – პელაზგთა პან-
თეონში.



* * *

მადლი შენ,
უფალო,
დღემდე რომ მოვედი,
მებრძოლი ყორნებთან!
ეს მიტომ შენ მახლდი
ყოველთვის,
ყოველგან.

2007



* * *

არც ბეთლემს,
 არც ბაგას
 და აღარც იუდას!
შური და დალატი
 თან სდევდა ქრისტეს სახლს
და მეფის პალატებს.

2001



* * *

„ღვდამიწისაგან წარმოშობილ პირველ
აღამიანად პელაზგს თვლიან“:

აპოლოდოროსი.

ათასეულ წლის მერეც,
პელაზგურის სურნელი
სდის ფინიკურ აღფავიტს.
ვით ფაზისთან,
ევფრატთან,
არის ქვეყნად პირველი,
კოლხ-პელაზგის საფლავი.

1965



ვირა კოჩა და ხოტუ მატუა

იქ, ცხოვრება შორიდან,
აღბათ ოქროდ მოხანდა
და უამმა მით ატყუა.

მე, აღდგომის კუნსულზე
ვესებ ვირა კოჩას და,
ვეხმობ ხოტუ მატუას.

1992



* * *

ხევს მოწყენილი დამზერს
პირიმზე,
ვითარც ქალი ნაქმარევი.
და შორით რომ ხანან,
ნისლები კი არა,
უსილო ქედები ამოქნარებენ.

1964



* * *

მხატვარ რეზო ადამიას

ღურჯ ცაზე მზერა მიპყრობილს –
თვალეში ჩაგშტერებია
ეს ბრუნო,
რომ სიკვდილს იარაღი აყარო.
შენს ირგვლივ ათასი
მზე ბრუნავს,
შენს გარშემო ტრიალებს სამყარო.

2008



წუთისოფლის შარაზე
გეყო საწყაღს წანწალი,
სადღაც სხივი კიაფობს.
უფალმა შენ გასწავლა –
სიბრძნის გზა,
ვით იაკობს.

1972



* * *

ხელში ელვის სანთლებით
მიმოდინა ღრუბლები...
ცაა ისევ ორსულად.
მიწა შიშით კანკალებს
ელის –
„მერეთმოსულას“!

* „მერეთმოსულა“ (მეგრ.) – მეორედ მოხვლა, წარღვნა



თომა აქვინელი და
ფრანჩისკო ასიზელი

ქრისტეს ეთერული და
ასტრალური სხეული,
ვითა სული და
ხორცი,
ერთმანეთში აზიღეს –
ეს სწამს თომა აქვინელს
და ფრანჩისკო ასიზელს.

1976



ხილვა: საული


დამასკოს დიდ გზაზე მავალს,
ხმა მოგესმის
– სულ იხქარა!
და ჭერებ ვითა დღესასწაულს,
გარდასახულს პავლედ
საულს,
მერე ქცეულს სულისქნარად.

1983



მძვინვარე ათასწლეულთა
მზე, რომ შუბის ტარს
აჭერდა
კოლხეთს და... მთები ბოლავდნენ,
იმ სველ ხალიბთა
ნაჭედი –
გესმით ჩემი ხმა ფოლადის.

2009



* * *

მოსვლიდან ფიქრები მაწვალებს,
რომ ზეცა,
მიწას რად არ ყვარობს!!
ღამით მზე რატომ არ ელვარებს!!
მე,
ვარსკვლავებიდან დავეურებ
სამყაროს,
ზღვებს,
ოკეანებს,
მთებსა და მწვერვალებს.

2001



* * *

ათასწლეული გავიდა რამდენი,
ადამის ცოდვა რომ
სამყაროს ამძიმებს.
და კოლხეთს სილს უფთრხობს
აჩრდილი არგოსის,
რომ პირამიდებთან
მეგუღვის ბარსიმი
ან მთებში ზაგროსის.

1978



პითარც ღაპითი ღა ცოტნე

ვით ადამის ნაშიერი,

ხუმაღ ინანიებ ცოდვებს,
როგორც შენი წინაპარი.

ღა ვით ღავით,

ღა ვით ცოტნე,
შენც ღმერთთან ხარ წილნაყარი.

2007



* * *

ღამე მზის ნაიარევს –
ელვის ენით ილოკავს
და ვერ არხენს ლოკვით
წელულს,
მთვარე, როგორც ქურუმი,
მიუყვება ცის ბილიკს –
ვარსკვლავებით
მოკირწელულს.

2003



* * *

ექვი ნუღარ გეპარება,
ჩემი ვარდი
რომ იყვავებს...
ცივო მიწავ გამითბები
სანამ შენთა მომიყვანენ –
ლეგენდები და
მითები.

2009



* * *

„არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა“
ხალხური.

ცბიერ უამთა დათესილი,
ოქროს ათასწლეულები
არის ჩემი ცა
და ფესვი.
ჩემი მტერი არც იხარებს,
რადგან გმირთა ხმა
ჩაესმით
ნასაყდრალებს,
ნაციხარებს.

1970



* * *

ორმოცდაათი წელი გავიდა,
ჩემი ბავშვობა და
ხობისწყალი,
რომ მიუყვება დამბას მხარ-გაშლით.
და მოხრილ მთვარეს,
ვითარცა გორდას,
მწუხრი რომ აგებს მთვარის
ქარქაშში.

1991



* * *

რაც დრო გადის,
 შორეთიდან,
 ხმა კვლავ მესმის მზითმოსილი –
სველ კოლხების და მესხების,
 და მე წარსულს,
 ვით „კოლხურ თეთრს“,
 იმათ სიბრძნეს ვესესებო.

1966



* * *

შენ ცა ხარ და ვარსკვლავებით
მუდამ გადაიბარდნები,
რადგან ხსოვნით იქარგები.
თქმულებებით –
იბადები,
ლეგენდებით –
იკარგები.

2001



* * *

ადეღეებ ზღეებს და ოკეანეებს,
მიწის ნაშიერს,
დეღამიწა არ გემეტება,
მაგრამ უჩუმრად კვლავ მიეღტვი
ზესთა სამყაროს.
და ცათა მიღმა უბო-უკვლოდ
დაეხეტები,
– მარადისობას წამით თავი
რომ შეაფარო.

2009



* * *

მეხთამტყორცნელ ზევსის რისხვას,
წელი არის
ასჯერ – ასი,
რომ ღრუბლებში აფლობს ქარი.
და ატყვია ღამის კიდეს
მოვარე, ვით ჩემი პეგასის,
წვიმით სველი ნაჩლიქარი.

2001



პოეტსა და ალქიმიკოსს

უფლის მადლით მოვლენილი,
ცისფრთიანი შენი ღექსი,
რა თუნდაც რომ აქილიკონ,
ოქროს, რკინად ვერ გიქცევენ,
პოეტსა და...
ალქიმიკოსს!

2000



* * *

აღარ გართობს ნიაგი,
კოლხთა პრეისტორიის
ზღვიდან ჩამონაქროლი,
სადღაც არგოც იალებს
კჰ, რამდენი წელია,
შენი ფიქრი ქორივით,
აიეტის დიდ კოლხეთს –
თავზე რომ დასტრიალებს.

2007



იქაური ცა

შუქი ყოელისმომცველი
შოორეული მნათობის,
ასტრალური ფერები,
ის მზე, ის ხმაურიცა,
უშქარი და ურიცხვი,
ღამის თვალთა ნათება,
სპეტაკ სულთა სამეფო –
სხვაა იქაური ცა.

1966



* * *

მიატოვე უდაბნო და,
ლოცვით მოვლე მწვერვალები,
ვითარც მოსემ
და აბრამმა.
შენი სიტყვის ელვარებამ,
ეჰ,
რამდენი დააბრმავა.

1993



* * *

მოვა უამი...

არ ერქმევა შავ ზღვას თალხი
და ნაპირთან ცად აღმართულ –
შენ ძეგლთან თუ
ობელისკთან,

პოეზიის შეიდფეროვან

დროშას დახრის.

2007



ჯეძა-ქუხილი მთაში

ქუხს და ელვა წყვილადში,
ლოდებს პირებს ულესავს,
ცვივა კლდეთა ტინები –
ეს ალბათ ჰერკულესი¹
ანტეოსს² ერკინება.

1977

¹ ჰერკულესი (ბერს.) – ზევსის შვილი, უდიდესი ეროვნული გმირი.

² ანტეოსი (ბერს.) – პოსეიდონისა და კეას ვაჟი, დაუმარცხებელი გმირი.



რაჭაში

დილის უსამანო სიერცეს,
ცისარტყელით ცა იზომავს,
გათენდა და მიწა იძრა!!
არა, ჩემო!
ამირანმა გაიღვისა
და მერე კი გაიზმორა.

1972



სიბრძნე ენქიმ გასწავლა

ახლაც, ვითარც წარსულში,
ზესკნელში და
ქვესკნელში,
ერთნაირად შეივლი...
მისდევ მზის გზას,
მზის შარას...
რადგან, როგორც ენლილმა¹,
სიბრძნე –
ენქიმ² გასწავლა,
სიყვარული – იშთარმა³.

1980

¹ ენლილი (შუმერულ-ასტრალური) – ღმერთთა მუუფე

² ენქი – სიბრძნისა და ქვესკნელის ღმერთი.

³ იშთარი (აქად.) – მზის და სიყვარულის ღმერთი



* * *

ეზივარ პონტოს ზღვისკარად,
ირგელივ სიმყუდროვეა
და მოველი შორიდან
ქართა დემონ –
ეოლოსს,
და ღვთაება –
ბორეას.

1974




ტრიმურტი*

დიუნების ბორცვთან,
მღვრიე განგის პირას,
ვიღაც თეთრი ხელით –
ცად აღუელენს ლოცვას
ბრაჰმას,
ვიშნუს,
შივას.

1980

* ტრიმურტი (სანსკრიტ.) – „სამება“, ინდური რელიგიის საამი უზენაესი ღვთაება ბრა? ა, ვიშნუ, შივა.



* * *

წუთისოფლის სივერაგე,
გონის თვალებს ვერ გიოსებს.
ეჯიბრები მამაღმერთთან
მორკინალებს.
ნაშიერი ჰელიოსის,
ზღვაო არა,
პოეზიის ოკეანევ!

2005



პერგამოს საკურთხეველის

დღეღამე ფრთებად გასხია,
ცისქვაბში ველარ ეტევი,
ვარსკვლავთა ცრემლის
მთხეველი.

„კოლხურ ფსალმუნთა“ თეთრ ტასარს,
შვენის მაღალი სვეტები –
პერგამოს საკურთხეველის.

2001



* * *

დეღვა ათასწლეულთა

და სიშორე აწვიმს ცის –
წლებს,

ბორჯი რომ მოდენის.

ისევ შენ ხარ მფლობელი –

ღვთიურ ოქროს საწმისის
და გრაალის ორდენის.

2007



რამასა და რავანას

მირიადი წელია –
ქვეყნად არსთა გამრიგემ
ცოდვილ დედამიწაზე
მადლი ვერ დააუნა.
რადგან ესე ცხოვრება
დღე-ნიადაგ ბრძოლაა –
რამასა¹ და რავანას².

2001

¹ რამა (ინდ.) – ღვთაებრივი ვიერი.

² რავანა (ინდ.) – ათთავიანი დემონთა მფვე.



* * *

ფიქრითა და ოცნებით
სამყარო გაქვს მოვლილი...
წვიმდა...
გამოიდარა,
რადგან აპოლონივით,
უკრავ კოლხურ კითარას.

2007



პა-დე-დე და პა-დე-ტრუა

ვარსკვლავების ნისლეულში
ერთი მნათი ვცან მედეად,
ვაჰ, ღამის ცა
ბადეთუა!
წვეილი ელვა პა-დე-დეა¹,
მეხთან ერთად –
პა-დე-ტრუა².

1999

¹ პა-დე-დე (ფრანგ.) – წვეილის ცეკვა.

² პა-დე-ტრუა (ფრანგ.) – საშთა ცეკვა.



* * *

ათასწლეულებს მოფარებული
იდუმალება –
შორიდან გიმზერს,
მსოფლიო დარდის ქვაზე ალესილს.
და ნილოსივით –
დაურდნობილს სფინქსზე,
მარადისობა გიდგას
თვალებში.



ზოილი

ვიცი შენი სახელი –
მთელ სამყაროს
მოივლის,
უცხო სურნელს დაარქვევს,
ვით ფშაველას „ყოილი“.
მაგრამ შენ გეყოლება
ალბათ „დიდი ზოილი“.*

2008

* ზოილი (ბერს.) – პომელოსის მავინებელი „კონ რეტორიკოს“ –
(ბერს.) – რიტორი საღლი.



* * *

აქ ამირანის ხმა ისმის
და აქ რა უნდა საჭურისს.
მადლს ვწირავ მჭედელ
ჰეფესტოს
პოეზიის დიდ საღ კლდეზე,
რომ ვუვარ მე –
მიჯაჭვეული.

2009



სკვითები

სარმარტის* ნაპირებზე,
უგზო-უკვლოდ
რომ გარბიან,
დავეწიო სკვითებს მინდა,
რაც ძნელ ღღეებს
მიადვილებს
და ცხადიც და სინამდვილედ,
კვლავ გამომყავს მითებიდან.

1972

* სარმარტის ზღვა – შავი ზღვა.



* * *

ვით მამა,
ძე და სულიწმინდა,
ერთია, მაგრამ სამებაა,
სამივე კოლხურ გენს ეკუთვნიან
საწმისი – გრაალია,
გრაალი –
იგივე ეფუთია.

1969



ღამე ხევსურეთში

გაღმა,

კარეტში ცხრა დევის,
აჩრდილი მიმოდოდა...

არსაით ჩანდა კოპალა,
არც იახსარი ჩნდებოდა.

(განა არ უნდა შედეღვა!!)

და მაინც არავგს, მივეცი –

ბარდა¹,

მუსა² და ბეღელა³.

1966

1,2,3 – დევების სახელები.



* * *

ეს ცხოვრება გემია,
რომელსაც ჩვენ მივყავართ,
სადღაც მოუსაველეთში
და თან მიაქვს ღოდები.
ათასეულ წლის მერე,
მესმის იერემიას,
ცრემლნარევი გოდება.

2001



* * *

ამაყი და თავმომწონე,
მუდამ ბედისწერის ურჩი,
დახოქილი ვერვინ მნახა.
და ბევვზე ძლივს გადაურჩი
მგლის კბილებს და
ლომის ხახას.

2008



* * *

დაეძვბლი გრაალს,

საწმისს,

შორით ჩანდა „ეფუთი“ და

„ეფრემ ვერდი“.

და, რაც შენი თავი გახსოვს,

ამ პატარა და უბრალო

ლექსებს წერდი.

2005



ცა დასტირის დედამიწას
(ვარიანტი)

აჰა, მთები ამირანტის,
სადაც მითი თუ
ლეგენდა,
ამირანზე აქ დაირწა.
არწივიც ბრჭყალს აქ ილესავს.
ცაც დასტირის დედამიწას,
ვით პატრკოლეს –
აქილევსი.

1980



**ზე – სკილა, ძვევით –
ქარიბდა**

ბელი თუ წერა-მწერალი,
გაჩენის დღიდან
მე მწვევლის...
და წამით პირს არ მარიღებს
წინ – წყალი,
უკან - მეწვეერი
ზე-სკილა,
ძვევით ქარიბდა.

1981



* * *

სადღაც წარსულის –
კოლხურ მღვრიე ცას,
მთვარე ჰკიდია, ვით ორღესული,
ნაპირი უსმენს ზვირთთა ბარიტონს.
არა ჩანს კირკე,
ოდისეუსით,
ცბიერ ქარიბდას რომ ამარიდოს.

1993



* * *

შორეული ლეგენდიდან,
მეხთა – ტეხის
ხმები მესმის,
აღბათ ზევსი მისდევს ღმერთებს.
ჯერ აღარ ჩანს გილგამეში,
ჰერაკლე და
ჰერკულესი,
არამსუტუ და პრომეთე.

2005



პ ე ნ ტ ა ბ რ ა მ ა

ცეცხლს და ელვას ჭიხვინებენ
და ღრუბლები კენტავრს¹
ჰგვანან.

თუმც მთიები ჩანს ულავი
და... „კოლხური ფსალმუნები“ –
არის ჩემი პენტაგრამა².

1983

¹ კენტავრი, (ბერს.) – არსება, რომელსაც აქვს ცხენის ტანი და ადამიანის გულმკერდი და თავი.

² პენტაგრამა – ხუთკუთხიანი ვარსკვლავი.

P.S. პითაგორის რელიგიურ-ფილოსოფიური კავშირის წევრები თვლიდნენ, რომ პენტაგრამას ხუთი წვერი ნიშნავდა ხუთ მთავარ სტიქიას: ცეცხლს, მიწას, ჰაერს, წყალსა და ღვთაებრივ იდეებს.



* * *

თბილისი ჩემი რამია,
ვზივარ, ვით იმპერატორი,
უიარაღოდ და
უომრად.
მე კარი ღიად დავტოვე –
ველი სიკვდილის სტუმრობას.

2009



* * *

აშრიალებ სტრიქონებს –
 ღერწმის სასაღამურებს,
 რომელმაც შტერ სამყაროს –
ცოდვა მადლი – აგვიდა.
 და თხზავ – „კოლხურ ფსალმუნებს“,
 როგორც „ბჰაგავადგიტას“*.

1993

* ბჰაგავადგიტა (ინდ. – „ნეტართა გალობა“ (პოემა).



ხ ი რ ო ს ი მ ა

მთვარე ქრება...

და მზე იწვის...

და მესამე წარღვნა მოდის...

ხიროსიმა, ჰეი, ხირო! –

კაცთა მოღმის,

ცის და მიწის,

შენ სევდა ხარ უნაპირო...

1966



* * *

დღეთა კბილებით რომ იდრინება –
ულმობელ დრო-ჟამს,
შენც მგელივით აეტოტები,
რადგან მგელია –
შენი ტოტეში.

1989



ფარციფალს და ფაირეფიცს

ღამის გრდემლზე ნაკვერი მზე –
განთიადის მახვილია.

მთვარე არის ფარი –
მეფის.

შენ დღე-ღამის თვალში ხედავ
ფარციფალს და
ფაირეფიცს.

2007



მგლის კბილი

ეთაყვანებოდა მგლისფერს,
შემოხედვა ჰქონდა მგლისა,
მადლს სწირავდა –
„ჟინ ანთარებს*“.

როგორც ჯადოს და თილისმას.
ვით სიყრმისას,
ახლაც მგლის კბილს
დაატარებს.

2009

* „ჟინ ანთარი“ (მეგრ.) - ნადირთა მფარველი ღვთაება.



* * *

ჰელიოსის ძევ! –
კოლხო ტიტანო!
შენ შეგისღია
სიზიფეს ლოდი,
მაღალ მწვერვალზე რომ აიტანო!

1969



ნერონს, ნიკონს, დიოკლეტონს

ბნელში კატის კნუტებივით
რადგან თვალებს ვერ
ახელებ.

ეს, მე, ვაჟა ეგრისელი,
ვითარც მცოდნე სამართლის,
ვადებ ვეტოს,*
ღმერთთან მებრძოლ მათ სახელებს:
ნერონს,
ნიკონს,
დიოკლეტონს.

2008

* ვეტო (ლათ.) – ვერძალავ.



შენი ხმა

მთათა მიუვალ კალთაზე
საფლავის ღოღი შეირხა,
ჩქამი ხევს გაჰყვა
არაგუად.

და... მილიონში შენი ხმა
იცნობა...
სხვისას არა ჰგავს.

1991



ნ ი ლ ო ს ი

ისე, როგორც ფაზისზე,
შენც ნილოსზე ილოცე,
ვითარც მისი ძმობილი,
და შენც, როგორც ნილოსი*,
სფინქსზე ხარ დაყრდნობილი.

2003

* ნილოსი (ინდ.) ნილას – შავი – ოკეანის შვილი, იმავე მდინარი ღმერთი.



ა რ კ ა ღ ი ა

წარსულიდან მოწანწკარე,
ელვა არა,
ლეგენდაა
ან ცრემლების ნაკადია,
რომ კოლხეთი „სამოთხეა“
ისე, როგორც არკადია.


1971



* * *

შენი ისე, ვით ზევისი,
რისხვა ვერ აიტანეს,
მიტომ ვერ გაიხარეს.
აი,
სწორედ იმიტომ,
უხმობ ლექსის ტიტანებს
და ჰექატონქეირებს.

2001



* * *

საიდანღაც მზის ხმა ისმის,
ნათლის სვეტზე მიჯაჭვულის
და უებრო მაცნეს დილის.
მოვარე –
როგორც ცის მსაჯული
მიუყვება ღამის ბილიკს.

1966



ხილვა: ეზეკიელი ქალდეაში

ლოცულობდა უფალზე და
მისი სული ღმერთს
ებარა,
იყო უფლის მაქებარი.
და მე ვხედავ ეზეკიელს,
ქალდეველთა ქვეყანაში
მჯდარს მდინარის პირს
ქებარის.

1986



ხ ვ ა მ ლ ი

ფაზისთან და ცხენისწყალთან,
ლეგენდების ბოლავს
კვამლი
და მთიების წვიმა აწვიმს.
გამოუჩენს მიღეთს
ხვამლი,
გრაალსა და ოქროს საწმისს.

1977



ა ე რ ო ლ ი თ ე ბ ი

განა დიდი და უსამანო,
ამბავი სულ ერთი ციდა,
რაზეც ღამეები გითევია.
შენი ლექსები კოლხური ციდან,
რომ ცვივა –
აეროლითებია*.

1998


* აეროლითი (ბერს.) – ქვის მგტეორიტი.



* * *

სივრცეებს გადიმაგორებს
მწუხრისას ელვის ნასხლეტი
და თვალი ღამით ევსება –
ცას,
ათასფერად დაჩხვლეტილს
ვარსკვლავთა ოქროს ნემსებით.

2001



კვამლი

ცოდვებისგან გვიფარავდა

წარსულ დღეთა

ხვაშიადი*.

და ეს კვამლი კი არა, და,

ადამის სის ცოდვაა და

წყევლა-კრულვად

ცაში ადის.

1980

* ხვაშიადი – საიდუმლო.



თ ო ლ ი ა

ჩუმად,

როგორც მზის სული,

საიდანღაც მოფრინდა,

ერთი ციცქნა თოლია.

ნახა ქარი,

აღელდა

და ზღვაც იაყოლია.

1961



ტანკას, ხოკუს, გენდაისს

სინანულით მოსილი

და მტრის ვარამ შეჭმული,
ჩუმად გაჰყვა მზე დაისს,
აუღებელ სისხლივით.

მაინც ათბობს მზის სხივი

ტანკას¹,

ხოკუს²,

გენდაისს³.

1986


1,2,3 – იაკონური პოეზიის ჟანრები.



* * *

შენ ყოფნის ზამთრის ხეს,
ვით ინდური ხურმები,
ყვითლად შემორჩენილი –
ლამაზ დღეთა გუნდები,
ნეტავ თუ გაუძლებენ
ქროლვას ჟამთა ეწერის!!
შენ კი როგორც მზის შვილი,
სამზეოზე ეწევი –
კოლხეთს ძველზე,
უძველესს.

1969



* * *

სულით „ცხოვარნი უფლისანი“
მარადუამს სამოთხეში
იქნებიან,
ვითარცა ახდენილი ოცნება.
ეკლესია – მონასტრები –
წიგნებია,
ნაწერი უფალზე ღოცვებით.

1969



ვითარც მათეს ევანგელე

ჟამთა ათასწლეულებში,
ელვის ფრთიან –
„კოლხურ ფსალმუნს“,
პეგასივით შეაგელვებ
და აღავსებ ღოცვით
სულებს,
ვითარც მათეს ევანგელე.

1996



* * *

ფაზისის და პონტოს პირას,
მე კოლხეთის მიწამ მზარდა,
სად ცა მზეს თოვს
უაპრილოდ.
ჩემი სული არის ზღვა, და,
სამყაროა უნაპირო.

1958



* * *

წმინდა მთაზე ქორიბის,
მიმოშლილან ცხოვარნი,
არსთგამრიგის მპოვნელთა.

უხილავის,
ხილულის,
„თავ“ ზეცაა ყოველთა.

1968



* * *

ცისქვეშეთში მდგარ ყოფნის ხეს,
დღე - ნიადაგ უსაშველოდ
არხევს ქარი –
არყოფნის...
და მწიფესთან ერთად ცვივა,
უმწიფარი
ნაყოფი.

2007



* * *

სადაც ჰყვავიან მთიები

იქ მზე –

ცის გულზე ესვენა.

იტყოდა, სერზე ავივლი,

ისე,

ვით „ველის ყვავილი“,

„ბაღასი, თესლის მოესველი“.

1976



შენ არ გავხარ არავის

წარსულიდან მოსულები
წუთისოფლის ვართ
„ასასი“*,

წლებიც ვეღარ ფარავენ.
შენ კი ყველა თავს
გამსგავსებს,
შენ არ გავხარ არავის.

2008

* ასას (ავხ.) – სტუმარი.



დ ა ღ ე ს ტ ა ნ ი

მის მზერას –

მტერთა განგმირავს,

ხსოვნის ღურჯ თვალებში

ელვარეს,

ინახავს ყველა აული,

მომაკვდინებელს შხამივით.

ელვა, ვით რისხვა შამილის,

მთებს,

ერუანტელად დაუვლის.

1974



* * *

შემოდგომა თავს ასაწყლებს,
ტყეს ფოთლებს სწყვეტს,
ყვითელ თვალებს ნაბავს
სურს რომ კარგად დაინახოს,
ხობისწყალი,
და მის მცველი დამბა.

1960



* * *

სიყვარულით მოსილი
მთათა ოხვრა-გოდება
ეფინება გულს ამოდ,
ზისარ და ელოდები,
როდის მოვა მუხლმოყრით
შენთან უამი,
უუამო.

2008



ტ ა ბ ა კ ო ნ ი

კუდიანი როკაპი

ცოცხზე ზის და მიმოქრის
და ავ საქმეს ასრულებს
ტაბაკონზე* მოუხმობს –

აღქაჯებს
და ავსულებს.

1963

* ტაბაკონი – მთა სამეგრელოში, რომელიც ცრუმორ-
წმუნეთ მიახნიათ ავსულთა თავშესაფარ ადგილად.



* * *

მიაქროლებს სამყაროს
ელვის ოქროს ბიგელით
შემოქმედი მზიურის.

ხვენ,

მოსვლიდან მიგველის
ის დღე –
მარადიული.

2006



* * *

სობისწყალი ბობოქრობს
და დამბა ვერ აკავებს,
ნახავს,
კაცი იტირებს..
ისმის მკედართ ლაპარაკი.
პარას ჭალა ტივტივებს,
ვით პატმოსის ჭალაკი*.

1961

* პატმოსის ჭალაკი – კუნსული იონანეს გამოცხადებაში.



კოლხეხსა და ქალღველებს

შორეთიდან მომავალნი,
(ეპ, რამდენჯერ
ამიოხრეს),
ეხლაც ყველა მამაძაღლი
თვის სისხლიან ადევს ხელებს
მითებიდან მოსულ კოლხებს,
და ბიბლიურ ქალღველებს.

1967



მზე და მთვარე

შენი სიბრძნის ცის ოგვაჯეს*,

ღღე –

მზის დიდი ოქროს კრუხი,

ღამე –

ვერცხლის აზის მთვარე

და ორივე ჩეკს შენს „ხვალეს“.

და ორივე გითვალთვალებს,

სამყაროს გონს ნაზიარებს.

2008

* ოგვაჯე (მეგრ.) – საბუღარი.



კიკლოებს და ბიბანტებს

სატურნი,

ვით ვენერა,

როგორ მოგიახლოვდა

უამი ათასწლეულებს –

ცის ქვიჯაში დანაყავს.

არსთვამრიგე შეიკრავს მთვარისა

და მზის კოპებს.

შენ სამყაროს გიგანტებს,

და მსოფლიო კიკლოებს,

შორით არა,

ახლოდან,

ხელებს ართმევ ამაყად.

2009



* * *

ზეცა დახუნსლულია მნათთა
ოქროს რიცხვებით,
ქვეყნად იცის არავინ,
თუ რა ხდება მზის იქით.
ირგვლივ რიცხვთა ქაოსი...
ფანტაზიის ღრეობა...
მიკრო-მაკრო სამყარო
ბუნავია მისტიკის.

2001



* * *

გრდემლზე ათასწლეულის –
რუმენის ცელი მოპირე –
მცხეთასა და
მისაქციელს.
და შენ, ვით ოქროპირმა,
მიწა,
ზეცად აქციე.

1979



* * *

მეცხრე ციდან გადმოსული
ახსოვთ მთებს და
ახსოვთ ტინებს,
მზის „ბისი“ და მთვარის „ბრაო“.
და ნათელმა უცაბედმა,
ვით ნეტარი ავგუსტინე,
ვაჰ, თუ უცებ დაგაბრმავოს!

2002



* * *

ცისქვეშეთში ერთადერთობ,
ტოლი არ გყავს,
ხარ უცვალო.
სადიდებელს მზისას მღერი...
და სიმღერით გსურს
უცვალო,
წუთისოფელს ზნე და ფერი.

2009



* * *

დიდი,
ჯერაც უსახელო,
ეს გემი და ეს გლისერი*,
მკერდზე ოქროს ასოებით,
ზღვებსა და ოკეანეებს,
ამცნობს სახელს –
ეგრისელის.

2000

* გლისერი (ფრანგ.) – დიდი სისწრაფით მავალი მოტორიანი ნავი.



ღევებთან და გიგანტებთან

სიცოცხლის და სიამაყის
დროშა მუდამ თან
დაგქონდა.
ღღე-ნიადაგ ბრძოლა
გქონდა,
ღევებთან და გიგანტებთან.

1968



* * *

მომავლიდან წარსულს უმზერს
და თვალები კვლავ აქვს
სველი.

არ სწყინდება ღამის თევა.
და კოლხეთი ისევ ელის
ახალ კრამერს,
შლიმანს,
ევანსს.

1999



* * *

ზღვის სარკეში
ტალღებს არა,
ვხედავ დედებს –
შავითმოსილთ და თმებ გაშლილთ.
მიმოდინ, ვით ყრუები
და მუნჯები.
და... მე ვეძებ პონტოს ზღვაში
კოლხეთსა და
საქართველოს დაუნჯებულს.

1968



* * *

ჩანაცრდა მზე დასალიერთან,
ახლო ჩანს გზის გასაყარი –
მოოქროვილი და მოვერცხლილი.
თუმც ხელისგულზე მიღვია
სამყარო,
ააღებული აღდგომის კვერცხივით.

2008



* * *

შენ,

შორეულ წარსულში,

აღამებ და

ათენებ,

რადგან ხედავ ზღვის გაღმა.

კირკესა და

ოდისევსის

ნაშიერთ –

ეჭრუსკებს და ლათინებს.

2009



* * *

თუმცა რამდენი გავიდა ხანი,
მზე,
მაინც როგორც
სამყაროს სული,
თავს დამტრიალებს, ვით დედა ევა.
მე კი ცოტნესთან –
ანისში ვწევარ
და მახვევია დალატის მუმლი.

2008



* * *

კოლხეთსა და მის „ფსალმუნებს“,
მზის ბეჭედი რადგან აზის.
მოვა დრო და
პონტოს პირას,
ძეგლს ავიგებს ნაშიერი
აიეტის და
ფარტახის.

1979



* * *

სხვა არაფერი...
შენთვის ლექსი,
ფუნჯიც არის და აკვარელიც!
და ყველგან შენი ქება გვესმის...
ამბობენ შენ პოეზიის ხარ
ჰერაკლეცა და ზეუსი
და... გყავს უთვალავი საყვარელი!!

1999



* * *

წარსულიდან გადმოვარდნილს,
ათას წარღვნას გადარჩენილს
მე,
რაც მიტირ-მიმღერია,
დაგუბდა და პონტოდ იქცა,
ცრემლის ზღვაა –
კოლხეთი და იბერია.

1976



ისევ დაფნისის გახსენება

შენს ჭიშკართან ჩაიქროლებს
მზე შებმული ცის კარეტა,
უპოვრის და
არმქონების.

ვით დაფნისის* სამარესთან,
შენს საფლავთან
აბღაველდება საქონელი.

2007

* დაფნისი – პოეტი და მუსიკოსი.



ქართული ზღაპრის კითხვისას

არც ღმერთი ჩანს,
არც ალაპი,
მზეც ამოსვლას თითქოს მორცხვობს.
და ზღაპრიდან თავებს
ბაღახი
მოაქვს, –
ბადრი და უსუპი,
რომ ორივე გააცოცხლოს.

1965



პოეტი ფარაონი

ბებერ ჟამთა უდრანში,
მარტო დაეხეტები
და შლი ათასწლეულთა
ხვატით შეჭმულ მარაოს.
დავიწყებით მოსილნი
ხელს გიქნევენ ხეთები,
მეგვიპტელნი კი –
გხმობენ პოეტ ფარაონს.

1986



* * *

ვერ გაჯობა ვედარავინ
სინათლის და
სისპეტაკის
ნათელ გზაზე სიარულში.
და გადიხარ ცეცხლში ისე,
ვით ღმერთკაცი სიაუში.

2003



ზ ო ღ ი ა ქ ო

ეს გზა ვარსკვლავიერი

მოდის,

ო, რა შორიდან...

კაბადონზე ეყარა მნათთა

ნუფარ-ნაყარი.

რვა ათასი წლის უკან

შესცქეროდა სამყარო

„ქაღდევებო* ცის რუკას“.

1999

* ქაღდევებო - ქართველთა შორეული მონათესავე ტომები.



* * *

შავი ზღვა შავ ხახას აჩენს
და ტალღებით იღრინება...
ყალყზე მდგარი –
თეთრი მთები,
თეთრ რაშებს ჰგავთ უნაგრიანს.
და...
კოლხეთი ლეგენდების
და მითების ბუნავია.

1971



სიუხვის რქა

ვით ელვა წყვდიადში,
შენი გზა შორს მიდის
და არსად მიუხვევს,
რადგან შენ გიბოსა
ზევსმა რქა –
სიუხვის*.

2008

* სიუხვის რქა (ლათ.) – სიმდიდრისა და კეთილდღეობის სიმბოლო.



* * *

სადაც ხიფათს არ ველოდი,
ვითარც მტრული იქ გავები,
მიტომ გელაპარაკებით,
ქრისტე-ღმერთის იგავებით,
სულხან-საბას
არაკებით.

1983



ოსკ ჩემი კოლხეთი

მზე და მთვარე ხელთ გეპყრა,

ვით არგუნ¹ და

ბურტული²,

მიჰკაფავდი ჟამთა ტყეს...

მიწა არ დაგრჩენია,

არც ცის კუთხე-კუნტული,

შენ რომ არ მიგეტანა –

ძველ კოლხური ღურტული³.

2001

¹ არგუნი (მეგრ.) – ნაჯახი.

² ბურტული (მეგრ.) – ცული.

³ ღურტული (მეგრ.) – გალობა, ჭიკჭიკი.



* * *

ამირანტის მოებიდან
გესმის დაღის კვილი.
და ევქსინის პონტოდან
ხმები ოქროს ვერძების,
რომლის უკან მითი და
სინამდვილედ იმაღვის.
და შენც ტროას დაექებ,
როგორც ჰაინრიხ შლიმანი.

1979



* * *

ქართვის ცისქვეშ ისევ ისე,
წარღვნა არის უნაპირო,
არ იქნა,
არ გადაიღო.

წყვილი კვლავ სდევს ალიონს.
ფერწასული მზე ჰგავს –
პიროსს¹

და მთვარე კი – დეკალიონს².

1989

1,2 – (ბერს.) წარღვნას გადარხენილი ცოლქქმარი,
რომლებმაც კაცობრიობა ისხნეს გადაშენებისაგან.



* * *

ათასწლეულებს შენს სულს ატანდი,
მიღმეთის ციდან,
ახლა ჩუმად რომ იმზირება,
შენი სამშობლო, როგორც ატლანტი,
დავიწყების დიდ
ოკეანეში,
არც არასოდეს ჩაიძირება.

1993



დეა, დია

ქარაენებად გაბაწრული –
დასავლეთით მიმავალი,
ჩემი ქართველის ლურჯი მთები,
ლამაზი და დიადია.

წარსულიდან მესმის ხმები, –
ძველ კოლხური დეა¹,
დია.

1978

1,2 – დეა, დია (ლათ.) – ნაყოფიერების ძველ ეგვიპტური ღვთაება.



* * *

აპოლონის სილამაზე,
ცისარტყელად პარნასის და
ოლიმპოს დიდ მთებს ავლია.
ათასი წლის მერეც მიკვირს
ზეესი – შიშის მთესავია.
ამაღთეას ვისმენ კიკინს,
კრეტასა და თესალიას.

2001



ე ფ უ თ ი

ცის ფურცელზე ნაწერს ოქროს
მურიცხებით,
ვინღა მოსთვლის მის ზეციურ
სიღიადეს,
უფლის იყო და მეგრი მით დიდგულობდა
ათასეულ წლებით ადრე –
ბიბლიამდე,
კოლხი „ეფუთს“* კითხულობდა.

1982

* ეფუთი – გადმოცემით, კოლხურ ენაზე დაწერილი ბიბლიამდელი „სიბრძნის კრებული“, სადაც მოცემული ყოფილა სამეაროს წარსული, მომავალი და ნაწინასწარ-მეტყველები ქვეყნის დასასრულიც.



„ქაშქა“, „აბსილ“ და „აბეშლა“

ბერძნებსა და ასურელებთ

აღბათ,

ახლაც ასულელებთ,

რომ ღმერთს ისტორიის გზაზე,

ბევრჯერ მიუტოვებია.

„ქაშქა“, „აბსილ“ და „აბეშლა“,

ვით სამება ერთია და...

სამივ კოლხთა ტომებია.

1979



აფრიკაში მეგრულს ვისმენ!

ქართველებო! –

ცოტანი ვართ!

და მე, როგორ მებევრებით

ისე, ვითარც ესპანეთში,

აფრიკაში მეგრულს ვისმენ,

„სუფთა“ – „ზანგი მეგრელების“.

2007



გეასა და ურნოს

*„დავიფიცე დედამიწა და ცა...“
კოლხი მეღეა.*

მიმწუხრისას მზე ცდილობს
ცას გვერდი აუაროს,
მოვარის ინტერესს იცავს.
ვინც მეღეა,
შენც ფიცავ,
გეასა და ურანოსს.

1989



ფაზისი, არაქსი, ჰალისი

უღმერთოდ შავ კლდეზე მიჯაჭვულს,

აცოცხლებს მოლი თუ

ნამი რამ,

სხვა უფლისმიერი ხალისით.

ფეხს უბანს კოლხ-ღმერთკაცს

ამირანს

ფაზისი, არაქსი, ჰალისი.

1989



* * *

მთვარე წყალში ჩასულა

ჩუმად,

ვით ნერეიდა.

ხსოვნა ხმალს ჰგავს აღესიღს

და კოლხური ხმა მესმის –

ატლანტიკის –

ფსკერიდან.

1979



* * *

აღმოსავლით –
დასავლეთით,
ფაზისიდან – ნილოსამდე,
მეწამული ზღვიდან – ზღვამდე!
დასცქეროდა მთვარე დიდხანს
კოლხ-ქიმეთის¹ ორ
ხელმწიფეს
ან-მარეს² და მარე-დიხას³.

2002

¹ ქიმეთი – ვგვიპტე

² ან-მარე, – ცის კაცი (5185-5120)

³ მარე-დიხა (დიხა-მიწა (მეგრ.) ე.ი. მიწისგან შექმნილ კაცს.



* * *

მითაუამში ჩემს წინაპრებს –
სინამდვილე
სიზმრად ექცნენ,
გადარჩენის კედელს ცერცვი
ხელუკუღმა შეაყარეს
დავიწყებას გამოექცნენ
და „კოლხური ფსალმუნებით“
გადახურულ
ხსოვნას თავი შეაფარეს.

1994



მანრელეს და მაკრისეს

სულ, შოორეულ წარსულში,

ფაზისის თუ ნილოსის

ნაპირთან ზის ვიღაცა

და თავს ისეე მობრალებს.

წინაპრის ვაღს მაკისრებს.

ხმას ვამგვანებ მაკრალებს¹,

მარებსა² და მაკრონებს³,

მანრელებს⁴ და მაკრისებს⁵.

1968

1,2,3,4,5 – კოლხური წარმომავლობის ტომები

ღ რ უ ბ ე ლ ი

ჩუმად მოდის ღრუბელი,
სახაგამშრალ უდაბნოს
წყურვილი რომ მოუკლას,
მერე მაშერაღს,
თავთუხის,
ყანა, მთვარემ მოუშკას.

1958



პ ი რ ი მ ზ ე

(ვარიანტი)

მწვერვალს მომსკდარი ყინულის ღოღი,
მთას დასცემია თავზე
მეხივით.

ვით ანგელოზი ფრთამოტეხილი
ჩასცქერს პირიმზე
კლდეთა ნაპრალებს,
ვითა საწყალი და შესაბრალი.

1976



მთვარის ამფორა

ცას მიტოვებულს ვარსკვლავებისგან
ელვათა ჯვარცმა ჰკიდია
მკერდზე.

ღამე აცვია, ვით ანაფორა.

და მწუხარება უდვას
თვალეში.

ქარიშხალი კი ღრუბლების შავ
ოკანეში –

მიატივტივებს მთვარის ამფორას.

1962



რწმენა, სიყვარული და იმედი

ვარსკვლავთა ასოებით დაწერილი –

საწმისივით და

ეფუთივით\

გმადლობთ,

რომ ჩემთვის გაიმეტე,

უქრობ ნათელში შეფუთვნილი

რწმენა,

სიყვარული

და იმედი.

2009



მოსკოვს სულ ყვავები ასხია

ბებერ სელებს ითბობს სამყარო,
რა ხდება აქ წმიდა
მარიამ,
რომ მზემ ყინულის ლოდი,
ვერ იქნა ვერ დაამსხვრია.
და თოვლი,
წვიმა თუ დარია,
მოსკოვს სულ ყვავები ასხია.

1983



შ შ რ ი

„შური არს მწუხარებაი სხვათა
კეთილსა ზედა.
საბა

შავი კაბის შარიშურით,
სიკეთის ჩასაქოლაგად,
მიუყვება შარას შური.

1971



ეფუდი

„ეფუდი – უწყება, გინა ახსნა...“
საბა

ვითარც გრაალზე და
საწმისზე,
ზოგ ვინმეს თუ მიუგნია!!
(იმედს კარს ნურგინ მოხურავს.)
ასევე ეფუთიც –
უუძველესი კოლხური
წიგნია,
უფლის დაწერილი კოლხურად.

1977



* * *

ცას გალობენ ვარსკვლავები
და ციური ხმა და ჰანგი,
სურთ ბუნებას მიანდონ,
ისე, როგორც შენ,
დიდ მგოსნებს
ბუღბუღსა და იადონს.

1965



* * *

მოდის მდინარეებად,
ჩემმა წინაპარმა რომ,
რაც წარსულში იტირა.
და მომესმის კოლხური
დახილი –
აკვირინე!
ეგეოსის ზღვის პირას,
აპენინს და
პირინეის.

1988



**იაპეტოსს, კრონოსსა და
ჰიპერიონს**

ციდან მოსულ კოლხ წინაპრებს
არ სტკიოდათ ალბათ ნეკა
და ლოცაუდნენ იმ ეპოქას,
იმ პერიოდს,
რომ სამყარო ხელში ეპყრათ
დიდ პელაზგებს – იაპეტოსს¹,
კრონოსსა² და ჰიპერიონს³.

1967

¹ იაპეტოსი – პრომეთეს (ამირანის) – მამა.

² კრონოსი (სევსის) – ზევსის მამა.

³ ჰიპერიონი – ჰელიოსის მამა. (ჰელიოსი – მზის ღმერთი, აიეტის მამაა).



* * *

ხელში ელვის სანთლებით
მიმოდინა ღრუბლები...
ცაა ისევ ორსულად.
მიწა შიშით კანკალებს –
ელის
„მერეთმოსულას“.
(წარღვნას).

1964



* * *

უცებ ღვთით მოვლენილი,
დავიწყების შარა-გზით
წაუღია ნელა დროს!!
და მეც, ვით ჰომეროსი,
პონტოს პირას დავეძებ
„ეგეოსის ადამს“ და,
„უფლის სადარ პელაზგოსს“.*

1970

* პელაზგების ფუძის დამდები – ეპონიმი (ეთნარქი).



* * *

ცით მოსული მგოსნის გული,
არს ღვთიური უბე
აზრთთა,
მიტომ დაგდევს თოლი მნათთა –
ბუმბერაზო –
ბუმბერაზთა!
გოლიათო –
გოლიათთა!

2008



ო რ ა კ უ ლ ი

ღამის კარზე მოისმის
მთვარის თეთრი კაკუნი,
მისი სველი სტუმარი
მოწყენილმა ცამ იცნო,
კოლხეთი დგას ზღვისკარად,
ისე, ვით ორაკული*
და ის რჩება მარადის,
ჩემთვის დელფოს სამისნოდ.

1979

* ორაკული (ღაო.) – ალაგი, ტაძარი, სამისნო, სადაც
მთხოვნელი ღმერთს რჩევას ეკითხება.



ენქიდუ და გილგამეში

მიხმობდა ენქიდუ და გილგამეში

იქ,

სადაც ზღაპრები და მითებია.

და შოორეულ კედრების გრილ ღამეში,


მნათნი რომ ოქროსფერად

ირთვებიან.

სწორედ იქ, სიცოცხლის ნახევარი,

თვალებგახელილს მითევია.

1988



კითარას და ფლეიტას

ათასწლეულ წყვილადში
უფლის ნათელს შეიტან,
რადგან ვით ოლიმპოსი
უკრავ კოლხურ ძველთაძველ,
კითარას და
ფლეიტას.

1977



ოსებ იოს გასსენება

თუმც კერმესმა არგოსი
უმოწყალოდ დარეგვა,
მესომტყორცნელი ზევსი კი
გულს მაინც ვერ იოხებს.
და ბნელ ღამის ჭალაში –
ნახევარი მთვარე ჰგავს,
შეყვარებულ იოს რქებს.

1995



* * *

ვით მედგა კოლხურ ცას
ფიცავ...
მაგრამ მზის სწორო,
აღარ მჯერა მე ფიცის.
თუმც „კოლხური ფსალმუნი“,
არის შენი მემფისი*.

1996


* მემფისი – მეფეთა ქალაქი.



**ციდან ჩამოფრენილ
ქალდეველებს**

ნილოსთან,
ფაზისთან,
ეფერატთან,
მშობლიურ მიწას აშიებენ
და თვალებს ვარსკვლავები
ადევნებენ
უძველეს კოლხთა ნაშიერებს,
ციდან ჩამოფრენილ,
„შავთავიან“
ქალდეველებს.

2006



ჰესიოდე

ფერი გადაკრავს მზეს იოდის
და ცვივა ელვისფერი
ბურბუშელა
ცის ხეზე მზე უსვამს შალაშინს.
და შენ დაექებ ჰესიოდეს* –
„ლოფრინის დაჩრდილულ
ჭალაში“.

2001


* ჰესიოდე (ბერძ.) – „პოეტების პაპა“ (დაახ. 850-700 ძვ. წ. აღ.).



კიკლოპების ქვებით ნაგებს

შენი სიტყვის გრიგალები,
აკვანივით ზღვას არწევენ,
შურს და ეჭვებს
უთრთით ბაგე,
რადგან სტოვებ ცათამბჯენებს
კიკლოპების ქვებით ნაგებს.

2009



ჩრდილოეთი კავკასიაში

ათასწლეულების მერეც,
კავკასიის მათა მიღმა,
დიდი მეფე აიეტის,
სახე ისევ იელვებს.
და აიას¹ კუნსულებზე
ვხედავ გეორგიელებს².

1979

¹ აიას – ქართველთა კუნძული, ამჟამინდელი ყირიმი.

² გეორგიელები – ქართუები, ქართველები.



* * *

ჩემი კოლხეთი –
მზისა და მთვარის ტოლია,
პონტოს ნაპირებზე რომ
 მოგონების კარავს ქსოვს.
კოსმიური კოლხეთის ისტორია,
მეხსიერება დაკარგულ ჟამს
 არ ახსოვს.

1965



შამაშ – რერა

„შაიამა შამაშ* – რერა

შარა,

შამარე“,

უუსველესი ქართულ სიტყვის

შენ ხარ სამარე.

1978

* შამაშ (სვან.) – მზე, აქადურად – დღე. (საგალობელი).



ეტრუსკებს,

ხეთებს და შუმერებს

ოთხი ათასი წლის მერე,

„კოლხურ ფსალმუნებით“


გუმღერე,

მე, ჩემს უდიდეს წინაპრებს

ეტრუსკებს,

ხეთებს და შუმერებს.

1982



კონდაკი და ტროპარი

ისტორია კი არა,
კოლხეთს პრეისტორიაც,
ერთიანად მოპარეს,
მაგრამ ვეღარ წაართვეს
კონდაკი¹ და
ტროპარი².

¹ კონდაკი (ჰერს.) – საეკლესიო წიგნი

² ტროპარი (ბერს.) – ხალხური ლექსები ან გალობა.



* * *

ხელმა ათასწლეულების,
ვერ იქნა და ვერ
გაცრიცეს
პონტოს ზღვიდან – ჯორჯანამდე*
სამფლობელო აიეტის
და სამეფო მის დის –
ცირცეს.

1964

* ჯორჯანის ანუ ქართველთა ტბა (კასპიის ზღვა).



* * *

მეცხრე ციდან ვიღაც კივის
ვნებები ვერ დაიოკე,
შენი თავის ბრალია,
რომ არ გწყალობს ქალკიოპე¹,
ევტერპე² და
თაღია³.

1966

¹ ქალკიოპე – აიეტის ასული, მედეას და.

² ევტერპე – ლირიკული პოეზიის მუზა.

³ თაღია – მუზების მეგობარი, მომხიბლავი ქალი.



* * *

ლეგენდების ზღვა დელავს
და დრო მისი –
მესაჭე,
ლამაზ ფიქრებს მოგისევს.
და... კოლხეთში ერთად ჭვრებ
კირკესა და
ოდისევს.

1969



ბეასა და რეას

დახუნძლული გმირთა სულით

ზეცა –

უფლის ხეა

და კოსმოსში მიაქეთ

დედა – დეა – დია,

გეასა¹ და

რეას.²

1986

¹ გეა (სანსკრიტ.) – დედამიწის ქალღმერთი

² რეა (ბერს.) – ღმერთების დედა.



* * *

ათასწლეულების მერეც,
ამ მაღალ მთებს და
მწვერვალებს
ესოდეს ეგ ნისლები,
ცეცხლის მფრქვეველ მზეს ციოდეს,
მაინც სახელს არ შესცივა
ეგრისელის,
ჰომეროსის, რუსთველის და
ჰესიოდეს.

1993



* * *

როცა სიფრიფანა მწუხრი,
სამეგრელოს მთებს და
ბორცვებს,
ნისლის ვერცხლში შეფუთვნიდა
მიკითხავდა დედა ღოცვებს,
ოქროდ ნაწერ
„ეფუთიდან“.

1964



300 მინჩხი და მტბევეარი

მთვარე –

მამა მძუძუა

და მზე –

ძუძუმტე არი,

მიტომ მშობელ მიწაზე,

მარად დაუტევეარი –

ცაში „ყვავილს დავექებ“

ვით მინჩხი

და მტბევეარი.

1965



შენ, კიკლოებს ერკინები

მწვერვალები ხელს გიქნევენ
და მაინც ვერ გაცდუნებენ,
კვლავ კარგავენ ფერს ტინები.
რა საქმე გაქვს კაცუნებთან,
შენ კიკლოებს* –
ერკინები.

2008

* კიკლოები (ბერს.) მითიური ცალთვალა ბუმბერაზები.



* * *

უფლისაგან მონაქროლი,
ვით, „კოლხური ფსალმუნი“,
ზეციური არის ჰანგი,
სამყაროა უნაპირო –
ბრაკი,
არადუე და ტანგი,
ლუქე,
პიკასო და მირო.

1983



ათასწლეულებია აკინძული

იქით – დღე არის სპეტაკი
და აქეთ ღამეა ბინძური,
ამიტომ წარსულის ცისკარი
მივხურე.

„კოლხურ ფსალმუნებში“,
კოლხური –
ათასწლეულებია აკინძული.

1968



ორი სოცრება

როგორ მსურდა მენახა...

სანამ ჟამთა კარნახით,

წარსულთა კლდეს მიაშლის

– მავზოლუსის აკლდამა,

სადღაც

ჰალიკარნასში,

– ზევსის ქანდაკება კი,

მაღალ ოლიმპიაში.

1987



ვით მოსეს და ჯიბრაელს

უამთა მღვრიე მდინარეს,
აღმა – აღმა მიჰყევი,
ისე, როგორც კალმახი
და არავინ გიბრალებს.
კაცთა მოღმის სიყვარულს,
შენც უფალი გკარნახობს,
ვით მოსეს და
ჯიბრაელს.

2009



10 000

ღმერთთა საფლავებია –
ცად ვარსკვლავთა ბორცვები,
დედამიწის კუბოში შენ,
რომ ვეღარ ათავსებ.
წარსულიდან ხელს გიქნევს –
შვიდივე საოცრება*,
მერვე – „კოლხურ ფსალმუნთა“
გელის ათიათასი.

2009

* შვიდი საოცრება 1. დიდი პირამიდა, 2. ალექსანდრიის შუქურა, 3. სემირამიდის ბაღები, 4. როდოსის კოლოსი, 5. მაუზოლუსის აკლამა ჰალიკარნასში, 6. არტემიდას ტასარი ეფესოში, 7. ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში.



* * *

ღრუბლების მოებით შემორაგული
ცაზე ჰკიდია მთვარე
ეჭვივით
და ჩვენს სიცოცხლეს უამი მიქელავს
ძვალი და ტყავი,
კბილდაკრეჭილი,
სოფლის ბოლოს კი გველის
მიქელა.

2009



* * *

ღელვის ფრთიან ზვირთთა დრუბლებს,
სივრცეებში –
შავად გაშლილით.

ქარმა ავი კვლავ მიუზღა.
და ამღვრეულ ღამის
ზღვაში,
ცამ ჩაუშვა მთვარის ღუზა.

1969



* * *

ეპატიებათ ცისიერ მგოსნებს,
რომ უნახავად,
არყოფნა აქეს,
და მოეფერნენ ყოფნასაც ლიქნით.
თუმცა ჭვრეტენ –
მტრობა რომ მეფობს აქეთ
და არ იციან რა სუფევს იქით!

2001



* * *

როგორ სურდათ ზოგ-ზოგებს,
შენი სული ეჯიჯგნათ!!
შენ კი სიბრძნეს „პარავდი“
ლი ბოს¹, დუ ფუს², ხე ჯი ჯანს³.
აღსაველის ცის კარებთან –
ფნიზლობდი...
სხვებს ეძინათ.
შენ ძილს არ გაკარებდა
ლაოს⁴ – დაო დი ძინი.

1977

¹ 1,2,3,4 – ჩინელი პოეტები.



* * *

ამაყი და თავმომწონე,
თეთრი ღრუბლის მოსასხამით,
დასავლეთით მიდის მთვარე
და ვარსკვლავებს ჭმუნვით
უმზერს,
ისე, როგორც შიმუნვარებს*.

1987

* შიმუნვარი – მოახლე.



* * *

მეთერთმეტე კი არა
მეცამეტე ცის იქით,
ნათელსა ვჭკვრებ მე უფრო.
სადაც მამა უფალი,
როგორც ჭირისუფალი,
მარტოდ-მარტო მეუფობს.

1900



* * *

ცად დაბმული ელვის ჯაჭვით,
შავი ღრუბლის ჩანს
ნაგაზი,
მეხს ყვეს და ბნელს აგლეჯს კალთას.
ღამეს მთვარე უკავია,
ხელში, როგორც აქანდაზი
და შიგა ყრის მტკერს
ვარსკვლავთა.

1971



* * *

ვით გილგამეშს და ენქიდუს,
გენატრება ხე –
კედრების,
უკვდავებად რომ არტყია –
ათასწლეულების დობე.
აწ შენ ვინღა შეგედრება,
ბუმბერაზი ჩანგის
მფლობელს.

2007



* * *

ცა –

მთვარის და მერკურის,
მარსისა და სატურნის,
ღვთის და იუპიტერის –
ერთმანეთში ირევა,
ვითარც რემა კენტავრთა.

(ყველა გახლავთ მზის მტერი!)
შენ დაესებ სულ სხვა ცას, –
სამკვიდრებელს ნეტართა.

2004



როგორც ვან ვეის

თუმც თავს ვაფარებ მაღალ ჭიუხებს,
წერა-მწერალის ვერდიქტს¹
კვლავ ველი, –
მთიდან პოეტი ყივის გაბური...
და... მეც მაშინებს, როგორც
ვან ვეის,
„ყოფნა-უდაბნო, გზა-უდაბური“.

¹ ვერდიქტი (ინგ ვან ვეი – ხინელი პოეტი (701-761)..) – განახენი.



* * *

როგორც უფლის წყალობას,
მზეს და ნათელს
ვირიგებ.
არვის ვუმხელ ხვაშიადს.
ისე, ვით არსთგამრიგე,
მე ცა ვარ...
და ცაში ვარ...

2008



ყოფნის ხე

ცისქვეშეთში ყოფნის ხე,
სისხლის ცრემლით ირწყვება,
არყოფნაა თავდებად.
სიცოცხლე და სიკვდილი,
არც არასდროს იწყება,
არც არასდროს თავდება.

2001



* * *

ბედისწერამ თუ სულისთქმამ,
პონტოს და კავკასიონის
ქედები კვლავ გადალახა
და გული ბევრჯერ იტკინა.
ახლა მთის ძირას აგროვებს
უძინარას და
ძირტკბილას,
ლაკარტს და „კურდღლის ბალახას“.

1986



გიჟვარს დანტუს ათი ცა

დღე და ღამე ლოცულობ...

და გაქვს მისი ხათრიცა,

ვინც დღესა ცვლის ღამეთი.

გიჟვარს დანტეს – ათი ცა*,

ეგრისელის –

ცამეტი.

1993

* ათი ცა მოვარის, მერკურის, ვენერას, მზის, მარსის, იუპიტერის, სატურნის, უძრავ ვარსკვლავთა, ანგელოზთა, უფლისა და ნეტართა სამკვიდრებელი. პლუს – სამი ცა სულის, პოეზიის და მარადიული სინათლის.



* * *

სანამდის ცოცხლობ,
მზის აზარფეშა,
დღეთა შარბათით უნდა
ადივსო.

მაშინ შენს ნათელს და სილადეს,
დროებით არა!

სამარადისოდ,
შეიფარებს ღამის წყვილიადი.

1984



კოლხეთი, ვით ინები

არც ცა ჩანდა,
არც მიწა,
მეუფობდა ქალსი,
ასე ღმერთმა ინება,
რადგან მას არ ეძინა.
კოლხეთი, ვით ინები,
არის ხვენი სამყარო,
მზე და დაო დე ძინი*.

1994

* დაო დე ძინი – ყოველი არსის, სამყაროს შემქმნელი ღედა.



* * *

მირიადი წლის იქიდან,
რქად მოჩანდა მოვარე –
ვერძის.

ბოლოს ფიქრმა მიაკვლია
წარსულის ზღვის წყვილად ფსკერზე –
გადამალულ ოქროს საწმისს,
კოლხური ცის იაღკიაღს.

1994



* * *

ღამეული ცის იქით,
არსთგამრიგის სიშორეს,
შენთვის უნდა ენათა.
ვითარც ნაბუ ატარებ,
„ღაფებს ბედისწერათა“*.

1994

* თამაზის სიზმარი – ძველი შუმერული პოეზია.



* * *

„კოლხურ ფსალმუნთა“ – ციხე-კოშკს,
გარს ვაულებ ჩინურ გალავანს
და დღეებს აღარ მივტირი.

აშკარად,
დაუმაღაუად,
სიკვდილი მინდა,
სიკვდილის.

2007



* * *

ცა – უფალია,
ქათქათა დრუბლები,
სახეს ულამაზებს
თმა-წვერივით,
სამყარო – იდუმალი წიგნია,
ვარსკვლავთა ოქროს ასოებით
დაწერილი.


2001



* * *

ასე ყოფილა, სიკედილი,
სიცოცხლის ყანას სულ იმის,
არყოფნის ჩაღას გვახურავს.
ხორცს მიწა ჭამს და...
სული კი –
ცად ადის უფლის მსახურად.

1988



* * *

ანგელოზად ქცეული,
შენი სული ცად ფრინავს,
სხეული კი არ დაღება,
შენ ხარ პირველშობილი –
ადამიც და
ადაპაც.

2005



* * *

(ვარიანტი)

კოლხთა დიდი წარსული,
განზრახ თავს იმძინარებს,
ზოგჯერ ჩუმად თვალს ახელს –
პონტოს და შუამდინარეთს,
სადაც გადავიწყების
შავიო ჭირი მსვინვარებს.

1984



თამარის და ტანის ხანა

სიცოცხლის და სიხარულის
ხემ არა და
არ იხარა,
ჟამი დადგა საშინელი
აქ – ქართველი,
იქ – ჩინელი
„ჩუმი ნატვრით“ ისევ ნატრობს,
თამარის¹ და
ტანის ხანას².

1985

¹ თამარის – ოქროს ხანა (XII ს.).

² ტანის ხანა – ჩინეთის აყვავების ხანა (618-907).



* * *

მიწის ამბოხებულ სულებს –
არ ეღლებათ მთებს
მგლის მუხლი,
არ აშინებთ ღრუბლის სისქე.
მიიწვევენ ღოცვად უფლის,
ხელში თოვლის სანთლით –
ცისკენ.

1961



* * *

მეხის ხმაზე ვარსკეკლავები,
ნეტავი რას გნიასებენ
ან ცას ასე რა აღხინებს!!
როცა ღამეს მიასვენებს
მწუხრი,
მთვარის ბაღდახინით.

1964



* * *

მოაქვს ცრემლი და გლოვა,
მის ხმის უამურ
ხრიწინს.

შენ,

ბევრჯერ სიკვდილს
ცხვირწინ,
მიუჯახუნე კარი.

2007



ხილვა: ქალდეველები ბაბილონში

სადღაც,

ათასწლეულების

იქით,

უცხო პლანეტის რომ,

თვალს გაახელს ცად მიკრობი

და მერე რომ გაიეღვებს.

მე,

ვჭკვრებ მასზე

თვალმიპყრობილთ

(ბაბილონში)

ქალდეველებს*.

1991

* ქალდეველები – ქართველთა შორეულ წინაპარი ტომები.

* * *

ფიქრმიუწვდენელ სიშორის ციდან,
მთიებად ცვივა წუთი და
წამი
და მიაქვთ ქარებს ღრუბლების ტივით.
მთვარის საათს კელავ დაცქერის
ღამე
და ელოდება მზის მამლის ყივილს.

1989



**ხსნის გზას ეძებ და
„ნირვანას“**

ყოფნის ქვაზე აღესილი,
გაბჯენია ყელზე დანა
და ტანჯვას გრსნობ
აუტანელს,
ხსნის გზას ეძებ და „ნირვანას“¹
ვით სიდჰართა გაუტანა².

1989

¹ „ნირვანა“ (სანსკრიტ.) – გაქრობა. (ბუდისტების მისტიკური მოსღვრების მიხედვით – უდიდესი ნეტარება).

² სიდჰართა გაუტანა – ბუდიზმის მოსღვრების ფუსემდეგელი.



* * *

იმედის ცის თაღებს გაკრული,
ფიქრ-კისერ გაწვდილი
წეროთა გუნდები,
მიჰფრენენ შორს წალიკ-წალიკად,
მათ სურვილს გზადაგზა
ქარები წალეკავს,
მშობლიურ სანახებს –
ვერ დაუბრუნდება.

1998



* * *

რა ახლო იყო ადრე,
ახლა კი ისევ და ისევ,
მეცხრე ცის სიშორე –
მწიწკნის...
და მთელი ღამე ვისმენ
ვარსკვლავთა –
ოქროს საათების წიკწიკს...

2005



* * *

ზღვიდან მოსულმა თეთრმა ქარებმა,
შავი ღრუბლების სევდა
დაწურეს.
ვარსკვლავთ ბიჭუნებს ახლაც
აბრაზებთ
ოქროსთმიანი ელვის ქაღწული,
რომ ხშირად სტუმრობს
მთვარის დარბაზებს.

1973



ჩინეთში

მარადისობა რომ მიუბოძე
დუ ფუს¹ და ლი ბოს²,
ხუენს და ბო ძიუს⁴,
სხვა დანარჩენებს რა ვუთხრა ცაო
ხე ჯი-ჯანს⁵, დუ მუს⁶,
ცზუნსა⁷ და ცზაოს⁸!!

1992

1,2,3,4,5,6,7,8 – ტანის ეპოქის (618-907 ჩინელი პოეტები.



* * *

ძუნა საღლების ყეფით დამფრთხალი
ციცქნა ბილიკი –
სოფლის ბოლოს მიდის
ბორძიკით...

გზა ელოდება გულის ხეთქვით,
იქვე,
ბორცვს იქით.

1967



ხილვა: ჰუსენი

ვჭკრებ გულანშაროს „მებაღეს“,
ზღვისპირ ჭმუნვით მჯდარ
ჰუსენს,
თან ავთანდილის ხასის –
გულს მირევს ფატმანის კვნესა.
და... მთელი ღამე ვუსმენ,
ციდან ვარსკვლავთა მესას.

1966



* * *

ღამეული ბილიკებით –
სიცოცხლის და
სიყვარულის,
ლურჯი ყანის მოდის მკელი.
– არყოფნაში,
ყოფნას ხედავს,
ღიაღობოს ფოტიკელიც.

1983



* * *

თეთრი დღეები და შავი ღამეები –
ცის სარკოფაგებში ყრია,
მზისა და მთვარის ფლოქეებით
გათელილი.

ვარსკვლავნი არა,
გრაალის ნათელია,
რომ ფანტავს სამყაროს წყვილიადს.

1969



* * *

საწუთრო ცრუა და ავია,
რადგან ღვარძლს გვიტოვებს
იფქლიდან.

„ხორცი კვდება და სული უკვდავია“ –
ხმა ისმის ღაო ძის,
ათასწლეულების იქიდან.

1989



* * *

გსურს რომ მთები ცისკენ დაძრა,
მიწაზე ვერ ეტევი.
და ხორცს სახავ –
სულის ტაძრად,
ვითარც იოანე მინსხი
და ანდრია კრეტელი.

1977



* * *

ერთი მიბრძანე და ღამის –
უფსკრულში გადავეშვები,
უშენოდ მაინც ვერ გაგძლებ!
რადგან მამულო,
მე შენით,
ვარ ძლიერი და მძლეთამძლე!

2008



* * *

ბ. ტ-ს

წუთისოფლის გლოვის ნიშნად,
კვლავ მოუშვა მან
წვერი და...
ცდუნებებს კი აღარ აჰყვა.
ღრიანცელს და
სოფლის ყაყანს,
ვით პოეტი გაერიდა!!!

1959



* * *

თვით ლაო ძიმ,
ღუ ფუმ,
ღი ბომ,
ბუდისტური, დაოსური –
ღიღი სიბრძნით,
ხანა ტანის,
ჩუმად დააორსულეს.

1968



* * *

ელვა –

უფლის სული არის,
რომელმაც ცა აღიადა
და წყვდიადში სერავს
მზის მთას,

მთვარე –

ღამის დარდია, და,
ვარსკვლავები –
ცრემლებია სერაფიმთა.

1999



ლი ბო და ღუ ფუ

ათასწლეულთა უღრანიდან თუ
მთებიდან დაიპტაინის,
ცრემლგარეული ხმა ისმის შორი,
სულის სიმშვიდეს –
კვლავ შესთხოვს უფალს,
მთას შეხიზნული პოეტი ორი,
ორივე მწირი –
ლი ბო¹ და ღუ ფუ².

1997

¹ ლი ბო – ჩინელი პოეტი (701-762).

² ღუ ფუ – ჩინელი პოეტი (712-770).



* * *

მამლები ისევ ყივიან დილას,
მაგრამ არ უხანს დღეს
მზის საყელო,
თუმცა ცას ფერი ედება ლილის.
შენ გეშინია, რომ ჩაახველო,
ვაჰ, თუ ვარსკვლავებს
დაუფრთხო სილი.

1964



* * *

ბეგ.ბ

საიდანღაც ვიღაც კივის

– მთვარის კაბებს ისინჯავო,
ვითა ქორნიკონებს.

შენ ტოვებ, ვით ღი ცინ-ჯაო*,
„თლილ იასპის სტრიქონებს“.

2009


* ღი ცინ – ჯაო – დიდი ჩინელი პოეტი ქალი (1084-1155)



* * *

ვით სააკასეს სპარსი მღევარი,
წამოგვეწია ღამე ართვინთან
და მთებს დაეღოთ უცებ
მგლისფერი.
გავარდა მეხი და ცამ კალთიდან,
სამოიფერთხა –
ვარსკვლავთა მტვერი.

1980



* * *

წუთისოფლის დინებას,
რადგან თავი მიანდე,
რადგანაც სულ ერთია –
ყოფნაცა და არყოფნაც.
შენში ერთურთს ერთვიან –
ნათელი და
წყვედიანი.

2007



* * *

შიშის გზით მავალ
ქუხილის ხმაზე
და გაზაფხულის ძილ-გამტყდარ
ღამით,
გამოცხადებას უფლისას ველი.
წყვილადს მიმეფებს
გაკრთომა ელვის,
სიმშვიდეს მტაცებს მნათობთა ჩქამი.

2001



* * *

ყვითელგულა მთიები,
ცაში ამაღლებულთა
არის სულთა ფრესკები.

მიწა –
ცაა,
ცოდვით გადახურული,
ბინადართა ზესკნელის.

1997



ხილვა: მაქსიმე აღმსარებელი

ბრწყინავს მთვარის სამოსახლო

და მთიების ოქროსფერი,

წაწვეტილი ჩანს სარები.

(დღემ სიცოცხლე დაამთავრა.)

ვჭკვრებ მაქსიმე აღმსარებელს –

„ფილოსოფოს ფილოსოფთა“ –

ბრძენთა ბრძენს და

მამამთავარს.

1970



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ5
 *** (ლოცვით და კურთხევით)25
 ხილვა: კოლხები – 1492 წლის აგვისტო...26
 *** (პელაზგებად მონათლულთ)27
 *** (მადლი შენ, უფალო!)28
 *** (არც ბეთლემს)29
 *** (ათასეულ წლის მერეც)30
 ვირა კოჩა და ხოტუ მატუა31
 *** (ხევს მოწყენილი დამხერს
 პირიმზე)32
 *** (ღურჯ ცაზე მხერა მიპყრობილს)33
 *** (წუთისოფლის შარაზე)34
 *** (ხელში ელვის სანთლებით)35
 თომა აქვინელი და ფრანჩესკო
 ასიხელი36
 ხილვა: საული37
 *** (მძვინვარე ათასწლეულთა)38
 *** (მოსვლიდან ფიქრები მაწვალებს)39
 *** (ათასწლეული გავიდა რამდენი)40
 ვითარც დავითი და ცოტნე41
 *** (ღამე მზის ნაიარევს...)42

*** (ეჭვი ნულარ გეპარება).....	43
*** (ცბიერ უამთა დათესილი).....	44
*** (ორმოცდაათი წელი გავიდა).....	45
*** (რაც დრო გადის...).....	46
*** (შენ ცა ხარ და ვარსკვლავებით).....	47
*** (აღელვებ ზღვებს და ოკეანეებს).....	48
*** (მეხთამტყორცნელ ზევსის რისხვას).....	49
პოეტსა და ალქიმიკოსს.....	50
*** (აღარ გართობს ნიავი).....	51
იქაური ცა.....	52
*** (მიატოვე უდაბნო).....	53
*** (მოვა უამი).....	54
ჭექა-ქუხილი მთაში.....	55
რაჭაში.....	56
სიბრძნე ენქიმ გასწავლა.....	57
*** (ვზივარ პონტოს ზღვისკარად).....	58
ტრიმურტი.....	59
*** (წუთისოფლის სივერაგე).....	60
პერგამოს საკურთხეველის.....	61
ღელვა ათასლწულთა.....	62
რამასა და რავანას.....	63
*** (ფიქრითა და ოცნებით).....	64
პა-ღე-ღე და პა-ღე-ტრუა.....	65

*** (ათასწლეულებს მიფარებული).....	66
ზოილი.....	67
*** (აქ ამირანის ხმა ისმის).....	68
სკვითები.....	69
*** (ვით მამა...).....	70
ღამე ხევსურეთში.....	71
*** (ეს ცხოვრება გემია).....	72
*** (ამაყი და თავმომწონე).....	73
*** (დაეძებდი გრაალს და საწმისს).....	74
ცა დასტირის დედამიწას.....	75
ზე-სკილა, ქვევით ქარიბდა.....	76
*** (სადღაც წარსულის).....	77
შოორეული ლეგენდიდან.....	78
პენტაგრამა.....	79
*** (თბილისი ჩემი რომია).....	80
*** (აშრიალეებ, სტრიქონებს).....	81
ხიროსიმა, ჰეი, ხირო!.....	82
*** (დღეთა კბილებით რომ იღრინება).....	83
ფარციფალს და ფაირეფიცს.....	84
მგლის კბილი.....	85
*** (ჰელიოსის ძევ).....	86
ნერონს, იკონს, დიოკლეტონს.....	87
შენი ხმა.....	88

ნილოსი.....	89
არკადია.....	90
***(შენი ისე, ვით ზევსის).....	91
***(საიდანდაც მზის ხმა ისმის).....	92
ხილვა: ეზეკიელი ქაღდუაში.....	93
ხვამლი.....	94
აეროლითები.....	95
***(სივრცეს გადიმთაგორებს).....	96
კვამლი.....	97
თოლია.....	98
ტანკას, ხოკუს, გენდაისს.....	99
***(შენი ყოფნის ზამთრის ხეს).....	100
***(სუღით „ცხოვარნი უფლისანი“).....	101
ვითარც მათეს ევანგელე.....	102
***(ფაზისის და პონტოს პირას).....	103
***(წმინდა მთაზე ყოფნის ხეს).....	104
*** (ცისქვეშეთში მდგარ ყოფნის ხეს)...	105
***(სადღაც ჰყვავიან მთიები).....	106
***(შენ არ გავხარ არავის).....	107
დაღესტანში.....	108
***(შემოდგომა თავს ისაწყლებს).....	109
***(სიყვარულით მოსილი).....	110
ტაბაკონი.....	111

*** (მიაქროლებს სამყაროს).....112

*** (ხობისწყალი ბობოქრობდა).....113

კოლხებსა და ქალდეველებს.....114

მზე და მთვარე.....115

კიკლოებს და გიგანტებს.....116

*** (ზეცა დახუნძლულია).....117

*** (გრდემლზე ათასწლეულის).....118

*** (მეცხრე ციდან გადმოსული).....119

*** (ცისქვეშეთში ერთადერთობ).....120

*** (დიდი).....121

დევებთან და გიგანტებთან.....122

*** (მომგალიდან წარსულს უმზერს).....123

*** (ზღვის სარკეში).....124

*** (ჩანაცრდა მზე დასალიერთან).....125

*** (შენ).....126

*** (თუმცა რამდენი გავიდა ხანი).....127

*** (კოლხეთსა და მის „ფსალმუნებს“) ...128

*** (სხვა არაფერი).....129

*** (წარსულიდან გადმოვარდნილს).....130

*** (ისევ დაფნისის გახსენება).....131

ქართული ზღაპრის კითხვისას.....132

პოეტი ფარაონი.....133

*** (ვერ გაჯობა ველარავინ).....134

ზოდიაქო.....	135
***("შავი ზღვა შავ ხახას აჩენს).....	136
სიუხვის რქა	137
***("სადაც ხიფათს არ ველოდი).....	138
ისევ ჩემი კოლხეთი.....	139
***("ამირანტის მთებიდან).....	140
***("ქართველის ცისქვეშ ისევ ისე).....	141
***("ათასწლეულებს შენს სულს ატანდი).....	142
დეა, დია.....	143
***("აპოლონის სილამაზე).....	144
ეფუთი	145
„ქაშქა“ - „აბსილ“ და „აბეშლა“	146
აფრიკაში მეგრულს ვისმენ!.....	147
გეასა და ურანოსს.....	148
ფაზისი, არაქსი, ჰაღისი.....	149
***("მთვარე წყალში ჩასულა).....	150
***("აღმოსავლით-დასავლით)	151
***("მითაქამში ჩემს წინაპრებს).....	152
მანრელებს და მაკრისებს.....	153
ღრუბელი.....	154
პირიმზე.....	155
მთვარის ამფორა.....	156
რწმენა, სიყვარული და იმედი.....	157

მოსკოვს სულ ყვაეები ასხია.....	158
შური	159
ეფუთი.....	160
*** (ცას გალობენ ვარსკვლავები).....	161
*** (მოდის მდინარეებად).....	162
იაპეტოსს, კრონოსსა და ჰიპერიონს.....	163
*** (ხელში ელვის სანთლებით).....	164
*** (უცებ ღვთით მოვლენილი).....	165
*** (ცით მოსული მგოსნის გული).....	166
ორაკული.....	167
ენქიდუ და გილგამეში.....	168
კითარას და ფლეიტას.....	169
ისევ იოს გახსენება.....	170
*** (ვით მედეას კოლხურ ცას).....	171
ციდან ჩამოფრენილ ქალდეველებს.....	172
ჰესიოდე.....	173
კიკლოპების ქვებით ნაგებს.....	174
ჩრდილოეთ კავკასიაში.....	175
*** (ჩემი კოლხეთი).....	176
შამაშ-რერა.....	177
ეტრუსებს, ხეთებს და შუმერებს.....	178
კონდაკი და ტროპარი.....	179
*** (ხელმა ათასწლეულების).....	180

*** (მეცხრე ციდან ვიღაც კივის).....	181
*** (ლეგენდების ზღვა ღელავს).....	182
გეას და რეას.....	183
*** (ათასწლეულების მერეც...).....	184
*** (როცა სიფრიფანა მწუხრი).....	185
ვით მინჩხი და მტბევარი.....	186
შენ კიკლოპებს ერკინები.....	187
*** (უფლისგან მონაქროლი).....	188
ათასწლეულებია აკინძული.....	189
ორი საოცრება.....	190
ვით მოსეს და ჯიბრაელს.....	191
10.000	192
*** (ღრუბლების მთებით შემორაგული)..	193
*** (ღელვის ფრთიან ზვირთთა ღრუბლებს).....	194
*** (ეპატებათ ცისიერ მგოსნებს).....	195
*** (როგორ სურდათ ზოგ-ზოგებს).....	196
*** (ამაყი და თავმომწონე).....	197
*** (მეთერთმეტე კი არა).....	198
*** (ცად დაბმული ელვის ჯაჭვით).....	199
*** (ვით გილგამეშს და ენქიდუს).....	200
*** (ცა).....	201
როგორც ვან ვეის.....	202

*** (როგორც უფლის წყალობას) 203
 ყოფნის ხე 204
 *** (ბედისწერამ თუ სულისთქმამ) 205
 მიყვარს დანტეს ათი ცა 206
 *** (სანამდის ცოცხლობ) 207
 კოლხეთი, ვით ინები 208
 *** მირიადი წლის იქიდან) 209
 *** (ღამეული ცის იქით...) 210
 *** („კოლხურ ფსალმუნთა“ – ციხე-კოშკს) 211
 *** (ცა-უფალია) 212
 *** ასე ყოფილა) 213
 *** (ანგელოზად ქცეული) 214
 *** (კოლხთა დიდი წარსული) 215
 თამარის და ტანის ხანა 216
 *** (მიწის ამბოხებულ სულებს) 217
 *** მეხის ხმაზე ვარსკვლავები) 218
 *** (მოაქვს ცრემლი და გლოვა) 219
 ხილვა: ქალდეველები ბაბილონში 220
 *** (ფიქრმიუწვედენელ სიშორის ციდან) 221
 ხსნის გზას ეძებ და „ნირვანას“ 222
 *** (იმედის ცის თაღს გაკრული) 223
 *** (რა ახლო იყო ადრე) 224
 *** (ზღვიდან მოსულმა თეთრმა ქარებმა) 225

ჩინეთში.....	226
*** <i>(ძუკნა ძაღლების ყვეით დამფრთხალი)</i>	227
ხილვა: ჰუსენი	228
*** <i>(დამეული ბილიკებით)</i>	229
*** <i>(თეთრი დღეები და შავი ღამეები)</i>	230
*** <i>(საწუთრო ცრუა და ავია)</i>	231
*** <i>(გსურს რომ მთები ცისკენ დაძრა)</i>	232
*** <i>(ერთი მიბრძანე და ღამის)</i>	233
*** <i>(წუთისოფლის გლოვის ნიშნად)</i>	234
*** <i>(თვით ღაო ძიმ)</i>	235
*** <i>(ელვა)</i>	236
ლიბო და დუ ფუ.....	237
*** <i>(მამაღები ისევ ყვიანი დიღას)</i>	238
*** <i>(საიდანღაც ვიღაც კივის)</i>	239
*** <i>(ვით სააკაძეს სპარსი მღვეარი)</i>	240
*** <i>(წუთისოფლის დინებას)</i>	241
*** <i>(შიშის გზით მავალ)</i>	242
*** <i>(ყვითელ გულა მთიები)</i>	243
ხილვა: მაქსიმე აღმსარებელი	244

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 33

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 33

გამომცემლობის

რედაქტორი

– მარი ეზნატაშვილი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი შუშუერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– ნათია გიუთაშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქუჩის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com